პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 11 (5112) | პარასკევი, 14 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სხდომების შესახებ

დღეს, 14 იანვარს, დღის 11 საათზე კავშირის საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, შესდგება კავშირის საბჭოს სხდომა.
დღის წესრიგი: კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენება.

◆

დღეს, 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე ეროვნებათა საბჭოს სხდომების დარბაზში, კრემლში, შესდგება ეროვნებათა საბჭოს სხდომა.
დღის წესრიგი: ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის მოხსენება.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უზენაესი საბჭოს 1-ლი სესია

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1938 წლის 12 იანვრის სხდომის შესახებ

12 იანვარს დღის ოთხ საათზე კავშირის საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს სესიის გახსნა.

დეპუტატ ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვის** წინადადებით სესიას ხსნის კავშირის საბჭოს უხუცესი დეპუტატი აკადემიკოსი **ალექსი ნიკოლოზის-ძე ბახი.**

ამხ. ბახის მოკლე სიტყვის შემდეგ კავშირის საბჭო შეუდგა კავშირის საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეთა არჩევნებს.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი,** თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ამხ. **ტროფიმე დენისის-ძე ლისენკო** და ამხ. **სულთან სეგიზბაევი.**

კავშირის საბჭომ მიიღო სესიის მუშაობის შემდეგი რეგლამენტი:

1. კავშირის საბჭოს სესიის სხდომები სწარმოებს დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე.

2. კავშირის საბჭოს სესიის დღის წესრიგის საკითხებზე მომხსენებლებს ამტკიცებს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.

3. კავშირის საბჭოს დეპუტატთა თვითეულ ჯგუფს, რომელიც ითვლის არანაკლებ 50 კაცისა, შეუძლია წამოაყენოს თავისი თანამომხსენებელი.

4. მომხსენებლებს მოხსენებისათვის ეძლევათ 1 საათი და საბოლოო სიტყვისათვის—30 წუთი, თანამომხსენებლებს თანამოხსენებისათვის—30 წუთი, საბოლოო სიტყვისათვის—15 წუთი.

5. ორატორებს სიტყვისათვის ეძლევათ პირველად 20 წუთი და მეორედ—5 წუთი.

6. პირადი განცხადებანი და ფაქტიური ცნობები შეიტანება წერილობით და მათ აქვეყნებს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ან სხდომის ბოლოს, შინაარსის მიხედვით.

7. რიგს გარეშე შეკითხვები შეიტანება წერილობით და მათ დაუყოვნებლივ აქვეყნებს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე.

8. წესრიგისათვის აღებულ სიტყვაზე მიეცემა 5 წუთი.



ამხ. ა. ა. ანდრეევი
კავშირის საბჭოს თავმჯდომარე

9. კენჭისყრის მოტივებისათვის მიეცემა 3 წუთი.

ლენინგრადის, მოსკოვის, კიევისა და თბილისის დეპუტატთა ჯგუფის სახელით, დეპუტატ ამხ. **ა. ა. ჟდანოვის** მიერ შეტანილი წინადადებით კავშირის საბჭომ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები;

2. კავშირის საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ;

3. სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანა, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

4. არჩევა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა:

ა) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა,

ბ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებისა,

გ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნისა,

დ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა.

5. სსრ კავშირის მთავრობის—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა.

6. სსრ კავშირის პროკურორის დანიშვნა;

7. დეპუტატთა იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან.

კავშირის საბჭომ მიიღო დადგენილება განხილულ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საერთო სხდომაზე შემდეგი პუნქტები:

3. სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანა, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით;

4. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა;

5. სსრ კავშირის მთავრობის—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა;

6. სსრ კავშირის პროკურორის დანიშვნა.

კავშირის საბჭოს დეპუტატთა რწმუნებების შესამოწმებლად არჩეულია სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

სამანდატო კომისიის თავმჯდომარე—ამხ. **ა. ს. შჩერბაკოვი.**

სამანდატო კომისიის წევრები:

ა. მ. ალემასოვი,
ფ. ვ. შაგიმარდანოვი,
აიტბაი ხუდაი-ბერგენოვი,
კ. ი. ნიკოლაევა,
ა. ე. კორნეიჩუკი,
მ. დ. დიუკანოვი,
ნ. ი. სუგონიაკა,
კულუან უტიგალიევი,
გ. ა. არუთინიანი,
თეიმურ იმამ ყული-ოღლი ყულიევი.

სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ კავშირის საბჭოს პირველი სხდომა იხურება. (საკდესი).

კავშირის საბჭოს 1938 წლის 12 იანვრის სხდომა

დეპუტატ ა. ნ. ბახის სიტყვა კავშირის საბჭოს პირველი სესიის გახსნისას



ამხანაგებო, ჩვენი ქვეყნის 90 მილიონ ამომრჩევლის ნება-სურვილით ჩვენ დაგვეკისრა საპატიო და პასუხსაგები მოვალეობა გავხსნათ და ჩავატაროთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია დიად სტალინურ კონსტიტუციასთან სრული შეფარდებით **(მქუხარე ტაში).**

სტალინური კონსტიტუცია მოასწავებს ახალ დიად ერას კაცობრიობის ისტორიაში, საწარმოო იარაღებისა და საშუალებების კოლექტიურ მფლობელობასა და სარგებლობაზე დაფუძნებული სოციალისტური საზოგადოების ერას.

სტალინური კონსტიტუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან საკანონმდებლო წესით გააფორმა და გააშუქა ის ღრმა, ძირითადი ცვლილებანი, რომელნიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

სტალინური კონსტიტუცია არის არა მარტო ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია, არამედ აგრეთვე მსოფლიოში ერთადერთი ჭეშმარიტად დემოკრატიული კონსტიტუცია. რატომ? იმიტომ, რომ დემოკრატია, ადამიანისა და მოქალაქის უფლება განისაზღვრება არა იმით, რაც კონსტიტუციებში სწერია, არამედ საწარმოო ურთიერთობით. იქ, სადაც საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება ბატონობს, იქ გარდუვალად სწარმოებს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, იქ არ არის და არც შეიძლება იყოს ნამდვილი დემოკრატია, არ არის და არც შეიძლება იყოს თავისუფლება.

ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაუბრუნებლად გააუქმა საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრება და სამუდამოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის შესაძლებლობა.

ამით განისაზღვრება ჩვენი მშრომელი მასების დამოკიდებულება სოციალისტური მშენებლობისადმი, რასაც ისინი ახორციელებენ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, და სტალინური კონსტიტუციისადმი, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვებათა საკანონმდებლო გაფორმებას.

არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობის მიხედვით, 12 დეკემბრის არჩევნების ბადალი, არცერთ სხვა ქვეყანაში არ მოიპოვება. არჩევნები ყველგან სადღესასწაული ატმოსფეროში, უმნიშვნელოვანესი მოქალაქეობრივი მოვალეობის სიხარულით შესრულების განწყობილებით ჩატარდა. 12 დეკემბრის არჩევნების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ჩვენი კავშირის მოსახლეობა შესდგება არა დაქსაქსული ჯგუფებისაგან, რომელთაგან თვითეული თავის ცალკეულ ინტერესებს მისდევს, არამედ ერთიანი, მჭიდროდ დარაზმული დიადი კოლექტივისაგან, რომელიც შეგნებულად მიდის ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით უკლასო საზოგადოების აშენების, ახალი, სამართლიანი და ბედნიერი ცხოვრების აშენების გზით. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროიდან განვლილმა ოცმა წელმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ჩვენ არა მარტო ავაგეთ სოციალისტური საზოგადოების შენობის მტკიცე საძირკველი, არამედ აგრეთვე სახურავში მოვიყვანეთ მთელი შენობა, როგორც ამას მოწმობს ყველა ჩვენ მიერ განხორციელებული, საყოველთაო ცნობილი მიღწევა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რთული და ძნელი სამუშაო გვაქვს შესასრულებელი ამ შენობის სრულსაყოფად და მოსაწყობად. სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში შემდგომი სოციალისტური მშენებლობის საკითხები ყველაზე უფრო აქტუალურ როლს ითამაშებენ.

ამ საკითხებიდან პირველი რიგის საკითხებად უნდა ჩაითვალოს შრომის სტახანოვური ნაყოფიერების რაციონალურად გამოყენება ტექნიკური პროცესების სათანადო სრულყოფის გზით.

ერთერთ თავის ნაშრომში ვ. ი. ლენინმა აღნიშნა, რომ როგორც კაპიტალიზმმა მოიპოვა გამარჯვება ფეოდალიზმზე საფაბრიკო - საქარხნო შრომის ნაყოფიერების უდიდესი გადიდებით ბატონყმური შრომის ნაყოფიერების დონესთან შედარებით, ისე სოციალიზმიც მოიპოვებს გამარჯვებას კაპიტალიზმზე კოლექტიური სოციალისტური შრომის ნაყოფიერების უდიდესი გადიდებით კაპიტალისტური საზოგადოების შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით.

სტახანოვურმა მოძრაობამ, რომელმაც მოიცვა მშრომელთა მასები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, და რომელიც გაიზარდა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ნიადაგზე, ბრწყინვალედ დაადასტურა დიდი მასწავლებლის განჭვრეტა.

ტექნიკური პროცესების სრულყოფა შრომის სტახანოვური ნაყოფიერების შესაბამისად, ჩვენი მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის ფართო ჰორიზონტებს შლის. კაპიტალისტურ ქვეყნებში საწარმოთა საწარმოო სიმძლავრის დიდი ამაღლება, დაფუძნებული შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, გარდუვალად გამოიწვევდა ჭარბწარმოებასა და ეკონომიურ კრიზისს. ჩვენში კი იგი იწვევს მხოლოდ სამუშაო დღის შემცირებას, სამუშაო დღისა, რომელიც სსრ კავშირში უკვე ახლაც უფრო მცირეა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. სამუშაო დღის შემცირება კი შესაძლებლობას აძლევს მშრომელებს მეტი დრო დაუთმონ კულტურულ საქმიანობას, აამაღლონ თავისი კულტურული დონე, ესე-იგი ხელს უწყობს ფიზიკურ შრომასა და გონებრივ შრომას შორის განსხვავების განუწყვეტლივ წაშლას.

წარმოების ზრდის პარალელურად ჩვენ დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ მუშაობის შემდგომ გაშლას მშრომელი მასების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

ამხანაგებო, ჩვენი წარმატებანი დიდია. მაგრამ ჩვენ არ გვავიწყდება არც მტრები, არც კაპიტალისტური გარემოცვა. მტრები ჩვენს წარმატებებში ხედავენ მომაკვდინებელ საფრთხეს კაპიტალისტური წყობილებისათვის, რომელსაც ისინი იცავენ. და, თუ ჩვენ უკანასკნელ წლებში თავდასხმა არ განვიცადეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი წითელი არმიის საუცხოო მდგომარეობა მათში იწვევს შიშს, რომ თუ ისინი თავს დაგვესხნენ, ხეირი არ დაეყრებათ. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო, მართლაც ჩვენი წითელი არმია ერთერთი საუკეთესო არმიაა თავისი სამხედრო მომზადებითა და თავისი შეიარაღებით. ამავე დროს იგი უეჭველად და უთუოდ საუკეთესოა თავისი ერთგულებით სამშობლოსადმი.

კაპიტალისტურ ქვეყნებში არმიებს აკომპლექტებენ მშრომელებისაგან, რომლებიც კაპიტალისტური წყობილების კლასობრივ მტრებს წარმოადგენენ. და დისციპლინას ამ არმიებში იცავენ მხოლოდ მკაცრი სასჯელის გზით.

ჩვენი წითელი არმია — მშრომელი მასების ხორცი-ხორცთაგანი — ხალხის ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის საერთო საქმის მხურვალე და თავდადებული ერთგულია.

ჩვენ ყოველნაირად ვისწრაფვით მშვიდობიანობისადმი არა მარტო იმიტომ, რომ გვეზიზღება და გვძაგს სრულიად უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, არამედ აგრეთვე იმიტომ, რომ ომი შეაფერხებდა ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას. ჩვენ გვინდა მშვიდობიანობა, მაგრამ თუ თავს დაგვესხმიან, ჩვენ ყველანი, როგორც ერთი კაცი, გამოვალთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, და მაშინ, ვაი ჩვენს მტრებს. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველა ფეხზე დგება. შეძახილი: „გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას!“. ძახილი: „ვაშა!“).**

ამხანაგებო, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროიდან განვლილი ოცი წლის ისტორია, იმ გრანდიოზულ წარმატებათა ისტორია, რომლებიც მოპოვებულია, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა მშრომელი მასების ძალღონისა და ენერგიის დაძაბვით, გულმოდგინე შესწავლის საგანი იქნება მომავალ საუკუნეებში, ჩვენი თანამედროვეებისათვის კი იგი წარმოადგენს იმის ნათელ მაგალითს, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ მშრომელ მასებს, როდესაც ნათლად ესმით თავისი კლასობრივი ინტერესები და შეურყეველი ნებისყოფით მზად არიან მათი განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ამხანაგებო, გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, რომელთაც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით შექმნეს მსოფლიოში პირველი დიადი სოციალისტური სახელმწიფო! **(დარბაზში მყოფნი ფეხზე დგებიან, მქუხარედ უკრავენ ტაშს).**

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას **(მქუხარე ტაში),** მშრომელთა ავანგარდს, რომელმაც ჩვენთან ერთად გადაიტანა თავის მხრებზე ჩვენი დიადი მშენებლობის ყველა სიძნელე. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო, კავშირის საბჭოს პირველ სესიას გახსნილად ვაცხადებ.

(დარბაზში მყოფნი ფეხზე დგებიან, მქუხარედ უკრავენ ტაშს. ტაში ოვაციაში გადადის).

შეძახილები ადგილებიდან: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, „ვაშა!“.

(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, „ვაშას“ ძახილი).

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 12 იანვრის სხდომის შესახებ

12 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ეროვნებათა საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს სესიის გახსნა.

დეპუტატ ამხ. **გ. ი. პეტროვსკის** წინადადებით სესიას ხსნის ეროვნებათა საბჭოს უხუცესი დეპუტატი ამხ. **მ. გ. ცხაკაია.**

ამხ. ცხაკაიას მოკლე სიტყვის შემდეგ ეროვნებათა საბჭო შეუდგა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევნებს.

ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **ნ. მ. შვერნიკი.**

თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ ამხ. **ჩ. ა. ასლანოვი** და **ა. მ. ლევიცკი.**

ეროვნებათა საბჭომ მიიღო სესიის მუშაობის შემდეგი რეგლამენტი:

1. ეროვნებათა საბჭოს სესიის სხდომები სწარმოებს საღამოს 6-დან 10 საათამდე.

2. ეროვნებათა საბჭოს სესიის დღის წესრიგის საკითხებზე მომხსენებლებს ამტკიცებს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე.

3. ეროვნებათა საბჭოს დეპუტატთა თვითეულ ჯგუფს, რომელშიც შედის არანაკლებ 50 კაცისა, შეუძლია წამოაყენოს თავისი თანამომხსენებელი.

4. მომხსენებლებს მოხსენებისათვის ეძლევათ 1 საათი და საბოლოო სიტყვისათვის — 30 წუთი; თანამომხსენებლებს თანამოხსენებისათვის — 30 წუთი, საბოლოო სიტყვისათვის — 15 წუთი.

5. ორატორებს სიტყვისათვის ეძლევათ პირველად — 20 წუთი და მეორედ — 5 წუთი.

6. პირადი განცხადებანი და ფაქტიური ცნობები შეიტანება წერილობით და მათ აქვეყნებს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დაუყოვნებლივ, ან სხდომის ბოლოს, მათი შინაარსის მიხედვით.

7. რიგს გარეშე შეკითხვები შეიტანება წერილობით და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე მათ დაუყოვნებლივ აქვეყნებს.

8. წესრიგისათვის აღებულ სიტყვაზე მიეცემა 5 წუთი.

9. კენჭისყრის მოტივებისათვის მიეცემა 3 წუთი.

რსფსრ, ყაზახეთისა და ბელორუსიის დეპუტატების ჯგუფის სახელით დეპუტატ ამხ. **ნ. ა. ბულგანინის** მიერ შეტანილი წინადადებით ეროვნებათა საბჭომ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები;

2. ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევა;

3. სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანა, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით;

4. არჩევა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა:

ა) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა,

ბ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებისა,

გ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნისა,

დ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა,

5. სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა;

6. სსრ კავშირის პროკურორის დანიშვნა;

7. დეპუტატთა იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან.

მიღებულ იქნა დადგენილება განხილულ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საერთო სხდომაზე შემდეგი პუნქტები:

3. სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანა, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით;

4. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა;

5. სსრ კავშირის მთავრობის — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა.

6. სსრ კავშირის პროკურორის დანიშვნა;

7. დეპუტატთა იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატების რწმუნებათა შესამოწმებლად არჩეულია სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. სამანდატო კომისიის თავმჯდომარე — ამხ. **სადიკ ნურპეისოვი** — დეპუტატი ყაზახეთის სსრ პეტროპავლოვსკის საქალაქო ოლქიდან.

სამანდატო კომისიის წევრები:

2. **მათე თედორეს-ძე შკირიატოვი** — დეპუტატი ტულა-რიაზანის ოლქიდან.

3. **ალექსანდრე ეფიმის-ძე ნიკიტინი** — დეპუტატი ყირგიზეთის სსრ კანტის ოლქიდან.

ამხ. ნ. მ. შვერნიკი
ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე

4. **მაცაკ პეტროსის-ძე პაპიანი** — დეპუტატი სომხეთის სსრ სტეპანავანის ოლქიდან.

5. **მიხეილ ალექსის-ძე ბურმისტენკო** — დეპუტატი ადიგეის ავტონომიური ოლქის მაიკოპის სასოფლო ოლქიდან.

6. **სიმონ კონსტანტინეს-ძე ტიმოშენკო** — დეპუტატი უკრაინის სსრ ხარკოვის სასოფლო ოლქიდან.

7. **სოფიო პეტრეს-ასული რაჩოკი** — დეპუტატი ბელორუსიის სსრ სლუცკის სასოფლო ოლქიდან.

8. **ტუსუპ კუზემბაევი** — დეპუტატი ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქიდან.

9. **პოსი ყურბან ნიაზ** — დეპუტატი თურქმენეთის სსრ სტალინის ოლქიდან.

10. **აკაკი ალექსის-ძე ხორავა** — დეპუტატი საქართველოს სსრ გეგეჭკორის ოლქიდან.

11. **იბრაჰიმ ხუდაიკულოვი** — დეპუტატი უზბეკეთის სსრ კატტაკურგანის ოლქიდან.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო შეუდგა ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების საკითხის განხილვას.

წინადადება საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის შექმნის შესახებ დეპუტატთა ჯგუფის სახელით შეაქვს ამხ. **ნ. მ. მარჩაკს.**

ეროვნებათა საბჭო ამტკიცებს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის შემადგენლობას 10 კაცის რაოდენობით.

კომისიის შემადგენლობაში არჩეული არიან:

1. კომისიის თავმჯდომარე ამხ. **პეტრე ანდრიას-ძე ტიურკინი** — დეპუტატი ლენინგრადის სასოფლო ოლქიდან.

კომისიის წევრები:

2. **სადიკ ნურპეისოვი** — დეპუტატი ყაზახეთის სსრ პეტროპავლოვსკის საქალაქო ოლქიდან.

3. **რიზა ხალილ ოღლი ველიბეკოვი** — დეპუტატი სომხეთის სსრ ვედინოს ოლქიდან.

4. **ნიკოლოზ ალექსის-ძე პეტრუნიჩევი** — დეპუტატი მარის ასსრ ზვენიგოვსკის ოლქიდან.

5. **ვალენტინ თედორეს-ასული პიკინა** — დეპუტატი მარის ასსრ იოშკარ-ოლინსკის საქალაქო ოლქიდან.

6. **კალისტრატე ექვთიმეს-ძე ნეზდიმენკო** — დეპუტატი უკრაინის სსრ შეპეტოვკის ოლქიდან.

7. **ბორის ევგენის-ძე ვედენეევი** — დეპუტატი კარელიის ასსრ კანდალაკშის ოლქიდან.

8. **ალი ჰუსეინოვი ალა-ჰუსეინ მეხტი ოღლი** — დეპუტატი აზერბეიჯანის სსრ კასუმ-იზმაილოვის ოლქიდან.

9. **ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზოვი** — დეპუტატი საქართველოს სსრ ახალციხის ოლქიდან.

10. **მარიამ იაკობის-ასული პეტროვა** — დეპუტატი რსფსრ კალინინის ოლქიდან.

წინადადება ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის შექმნის შესახებ შეაქვს დეპუტატს ამხ. **ა. ი. სტეცკის.**

ეროვნებათა საბჭო ირჩევს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიას 13 კაცის შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე **ივანე სერგეის-ძე ხოხლოვი** — დეპუტატი რსფსრ მოსკოვის სასოფლო ოლქიდან.

კომისიის წევრები:

2. **კირილე ვასილის-ძე სუხომლინი** — დეპუტატი უკრაინის სსრ ჟმერინკის ოლქიდან.

3. **ორუჯ ველი კიში ოღლი ჰუსეინოვი** — დეპუტატი აზერბეიჯანის სსრ კიროვაბადის ოლქიდან.

4. **მიხეილ ტიმოთეს-ძე ფინოგენოვი** — დეპუტატი ბელორუსიის სსრ გომელის საქალაქო ოლქიდან.

5. **პავლე ივანეს-ძე კორობოვი** — დეპუტატი ჩელიაბინსკის ოლქიდან.

6. **სიმონ გიორგის-ძე ხოშტარია** — დეპუტატი აფხაზეთის ასსრ გაგრის ოლქიდან.

7. **მემედ იბრაგიმის-ძე იბრაგიმოვი** — დეპუტატი ყირიმის ასსრ ბახჩისარაის ოლქიდან.

8. **სერკას ალიევი** — დეპუტატი თურქმენეთის სსრ ჩარჯუის ოლქიდან.

9. **პულატ ბობოკალონოვი** — დეპუტატი ტაჯიკეთის სსრ ლენინაბადის სასოფლო ოლქიდან.

10. **ქერიმ კენებაევი** — დეპუტატი ყირგიზეთის სსრ გულჩინსკის ოლქიდან.

11. **ტატიგელი კუჟანოვი** — დეპუტატი ყაზახეთის სსრ აიაგუზის ოლქიდან.

12. **მუხამეჯან იულდაშევი** — დეპუტატი უზბეკეთის სსრ ტაშკენტ-კიროვსკის ოლქიდან.

13. **პეტრე ივანეს-ძე შპილევოი** — დეპუტატი უკრაინის სსრ სტალინოს ოლქიდან.

ეროვნებათა საბჭო ღებულობს დეპუტატ **ო. ი. შმიდტის** წინადადებას, რომელიც მან შემოიტანა მოსკოვის, თათართა ასს რესპუბლიკის და ლენინგრადის დეპუტატთა ჯგუფის სახელით, საგარეო საქმეთა კომისიის დაარსების შესახებ.

ეროვნებათა საბჭო ადგენს შექმნას ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისია 10 წევრის შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე — **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი.**

კომისიის წევრები:

2. **ალექსი მიხეილის-ძე ლევიცკი** — დეპუტატი ბელორუსიის სსრ ვიტებსკის საქალაქო ოლქიდან.

3. **ნიკოლოზ მაკარის-ძე მარჩაკი** — დეპუტატი უკრაინის სსრ კიევის საქალაქო ოლქიდან.

4. **ჟურაბეკ ისკანდეროვი** — დეპუტატი ტაჯიკეთის სსრ კანიბადამის ოლქიდან.

5. **ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე პოსკრებიშევი** — დეპუტატი ბაშკირეთის ასსრ ბელებეევსკის ოლქიდან.

6. **მაცაკ პეტრეს-ძე პაპიანი** — დეპუტატი სომხეთის სსრ სტეპანავანის ოლქიდან.

7. **პეტრე ათანასეს-ძე ვერშკოვი** — დეპუტატი საქართველოს სსრ თბილისის 26 კომუნარის სახელობის ოლქიდან.

8. **სოლომონ აბრამის-ძე ლოზოვსკი** — დეპუტატი ყირგიზეთის სსრ მოლოტოვის ოლქიდან.

9. **სიმონ კონსტანტინეს-ძე ტიმოშენკო** — დეპუტატი უკრაინის სსრ ხარკოვის სასოფლო ოლქიდან.

10. **ოტო იულის-ძე შმიდტი** — დეპუტატი რსფსრ ყაზანის ოლქიდან.

მუდმივი კომისიების არჩევის შემდეგ ეროვნებათა საბჭოს სესიის პირველი სხდომა დაიხურა.

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უზენაესი საბჭოს 1-ლი სესია

კავშირის საბჭოს 1938 წლის 12 იანვრის სხდომა

დეპუტატ ა. ა. ჟდანოვის სიტყვა

ამხანაგებო, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და თბილისის დეპუტატთა ჯგუფმა დამავალა წარვუდგინო კავშირის საბჭოს პირველ სესიას განსახილველად წინადადება, რათა შეტანილ იქნას კავშირის საბჭოს პირველი სესიის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

პირველი საკითხი—კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები.

მოტივები ამ საკითხის დასასმელად გამომდინარეობს კონსტიტუციის მე-50 მუხლიდან, რის თანახმად კავშირის საბჭო და ეროვნებათა საბჭო ირჩევენ სამანდატო კომისიებს, რომლებიც ამოწმებენ თითეული პალატის დეპუტატთა რწმუნებებს.

მეორე საკითხი—კავშირის საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევის შესახებ.

ამ საკითხის დასმის მიზანშეწონილება ნაკარნახევია აუცილებლობით მომზადდეს კავშირის საბჭოს სესიის სხდომებისათვის საკითხები, რომლებიც ეხება კავშირის საბჭოს კომპეტენციას: კანონების, ბიუჯეტის მომზადება და სხვ.

ყველა ამ საკითხზე ალბათ, მიზანშეწონილია მოეწყოს კავშირის საბჭოს მუდმივი კომისიები.

დღის წესრიგის მესამე საკითხი—ცვლილებათა და დამატებათა შეტანა სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ცნობილია, რომ კონსტიტუციის მიღების დროიდან ერთ წელზე მეტი გავიდა.

ამ ხნის განმავლობაში, სახელმწიფოს მართვის მოთხოვნილებებთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ცაკმა და სახკომსაბჭომ მთელი რიგი ცვლილებანი შეიტანეს სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში, ცვლილებანი, დაკავშირებულნი ახალი ოლქების შექმნასთან მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში, ახალი სახალხო კომისარიატების შექმნასთან და სხვ.

დეპუტატთა ჯგუფი, რომელმაც დამავალა გადმოგცეთ მოსაზრებანი დღის წესრიგის შესახებ, მიზანშეწონილად სთვლის, რომ კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხი, რომლებიც მიღებულია კავშირის საბჭოს სესიამდი, განხილულ იქნას კავშირის საბჭოში.

მეოთხე საკითხი, რომლის შეტანაც დღის წესრიგში საჭიროდ მივაჩნია, არის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.

მეხუთე საკითხი—სსრ კავშირის მთავრობის—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა.

მეექვსე საკითხი—სსრ კავშირის პროკურორის დანიშვნა.



მეშვიდე საკითხი—დეპუტატთა იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც დაკავშირებულია მათი სადეპუტატო მოვალეობის შესრულებასთან.

აი საკითხების ის წრე, რომელთა შეტანასაც კავშირის საბჭოს სესიის განხილვისა და მსჯელობისათვის მიზანშეწონილად სთვლის დეპუტატთა ჯგუფი.

რაც შეეხება განხილვის წესს, კავშირის კონსტიტუციის მე-48 მუხლის თანახმად, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი არჩეულ უნდა იქნას ორივე პალატის საერთო სხდომაზე. კონსტიტუციის მე-56 მუხლის თანახმად სსრ კავშირის მთავრობაც შედგენილ უნდა იქნას უზენაესი საბჭოს ორივე პალატის საერთო სხდომაზე.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კავშირის საბჭომ გამოიჩინოს ინიციატივა იმაში, რომ სსრ კავშირის მთავრობის შედგენისა და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევის საკითხები განხილულ იქნას უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე.

მე ვფიქრობ, რომ კავშირის საბჭო მიზანშეწონილად დაინახავს ეს საკითხები განხილულ იქნას ახლავე ორივე პალატის საერთო სხდომებზე და დაევალოს ჩვენი პალატის თავმჯდომარეს შეუთანხმდეს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს იმის შესახებ, რომ მოეწყოს ორივე პალატის საერთო სხდომა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევისა და კავშირის მთავრობის შექმნის საკითხების განსახილველად.

რაც შეეხება კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხისა და სსრ კავშირის პროკურორის საკითხის განხილვის წესს, დეპუტატთა იმავე ჯგუფმა დამავალა მოვახსენო კავშირის საბჭოს, რომ, ალბათ, მიზანშეწონილია, ეს საკითხებიც განხილულ იქნას ორივე პალატის საერთო სხდომაზე.

აი ის წინადადებანი, რომლებიც უნდა მომეხსენებინა დეპუტატთა ჯგუფის დავალებით.

ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 12 იანვრის სხდომა

დეპუტატ მ. გ. ცხაკაიას სიტყვა ეროვნებათა საბჭოს პირველი სესიის გახსნისას

ძვირფასო ამხანაგებო, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებო! ნება მიბოძეთ ჩვენი პირველი სესიის გახსნის წინ მოკლედ გადავავლო თვალი არჩევნების ისტორიას. დღევანდელი საზეიმო დღე — დიადი, ჭეშმარიტად საყოველთაო - სახალხო დღესასწაულია, — მსოფლიოში ყველაზე თავისუფალი და ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის — სტალინური სოციალისტური კონსტიტუციის საფუძველზე არჩეული უზენაესი საბჭოს სესიის გახსნის დღეა. **(ტაში, „ვაშას“ ძახილი).**



მართლაც, ამხანაგებო, როგორია არჩევნების ისტორია? როგორია არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის გამარჯვების შედეგები? მაგალითად: მოსკოვში არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 99,13 პროცენტი, ლენინგრადში — 96,3 პროცენტი, მინსკში — 99,6 პროცენტი, ბაქოში — 95,5 პროცენტი, თბილისში — 95,6 პროცენტი...

ეს მსოფლიოში, ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიაც კი, უჩვეულო შედეგებია! საიდან არის ყოველივე ეს? იქიდან, ძვირფასო ამხანაგებო, რომ მუშათა კლასის დიქტატურის ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში, მუშათა და გლეხთა დიად სახელმწიფოში სოციალიზმი უკვე განხორციელებულია, იგი შევიდა ყოფაცხოვრებაში, ხალხთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ჩვენი საბჭოთა ხალხების ძმობა, ერთობა და ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო მათი შემჭიდროვება უძლეველს ხდის ჩვენს სამშობლოს. ჩვენ, როგორც იტყვიან, დევკაცის ნაბიჯით პირდაპირ და შეუკავებლად მივდივართ სრული კომუნიზმისაკენ მთელს სსრ კავშირში, მის თერთმეტსავე მოკავშირე რესპუბლიკაში და მათში შემავალ ავტონომიურ ნაწილებში.

სსრ კავშირის ყველა ტომი, ერი, ხალხი გამსჭვალულია დიადი ენტუზიაზმით, დიადი სოციალისტური შეჯიბრებით — ყველაზე ნაყოფიერი სოციალისტური შრომის ამ კომუნისტური მეთოდით, გატაცებულია სოციალიზმის მშენებლობით, დიადი კულტურის მშენებლობით, ხალხთა კომუნისტური ძმობის განმტკიცებით.

ჩვენ, ამხანაგებო, ვქმნით ახალ ცხოვრებას, ახალ ცივილიზაციას, ახალ კულტურას, ფორმით ნაციონალურს, შინაარსით სოციალისტურს.

ეროვნებანი, რომელნიც მეფის რეჟიმის დროს ყველაზე ჩამორჩენილნი და უმეცარნი იყვნენ, ახლა სსრ კავშირის თავისუფალ ხალხებად გახდნენ. მათ მოიშორეს ნაციონალური შეზღუდულობის, ერთმანეთისადმი უსიყვარულობისა და ცუდი მეზობლობის მთელი თავისი ძველი ნაჭუჭი და აშენებენ ერთად, საერთო თანამშრომლობით სოციალისტურ ინდუსტრიას და სოციალისტურ სასოფლო მეურნეობას. საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხი და ეროვნება ერთსულოვნად დადგა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ინტერნაციონალური წითელი დროშის ქვეშ. **(ტაში).**

მათი შვილები ჩვენს მამაც გმირულ წითელ არმიაშიც, ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრების უშუალო, ყოველსაათობით დაცვის პოზიციებზეც გზას ულობავენ ყველა დივერსანტს, საერთაშორისო ფაშიზმის ჯაშუშებს. ფაშისტები მიისწრაფოდნენ და მიისწრაფვიან გაიჩინონ ჩვენი საზოგადოების ფენებში და ჩვენი პარტიის რიგებშიაც კი თავიანთი ფარული, შენიღბული აგენტები. ფაშისტები ამ აგენტებს აგროვებენ საზიზღარ ტროცკისტ - ბუხარინელ ბანდიტებსა, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებსა და ხალხის სხვა მტრებს შორის.

მაგრამ რევოლუციის ჩვენი სახელოვანი დამცველნი, პირველი მარშლის, მამაცი წითელი არმიის სახელოვანი სარდლის ამხანაგ ვოროშილოვისა და სოციალისტური წითელი დაზვერვის სახელოვანი სახალხო კომისრის ამხანაგ ეჟოვის სახით, სსრ კავშირის ყველა ხალხისა და ერის დახმარებით, დაუზოგავად ანადგურებენ ხალხის მტრებს თვით რესპუბლიკების შიგნით და ჩვენი დიადი სამშობლოს — სსრ კავშირის ყველა საზღვარზე. ჩვენი საბჭოთა ქვეყანა მიუწვდომელია ფაშისტებისათვის და იმპერიალიზმის ყველა მსოფლიო მტაცებლებისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის დიადმა ორგანიზატორულმა ძალამ უზრუნველჰყო კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის გამარჯვება უზენაესი საბჭოს არჩევნებში. კომუნისტთა და უპარტიოთა ეს გამარჯვება უზენაესი საბჭოს არჩევნებში, ეს გამარჯვება, ძვირფასო ამხანაგებო, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატებო, ათკეცებს ჩვენს სიძლიერეს, აძლიერებს ჩვენს ლტოლვას სსრ დიადი კავშირის წითელი დედაქალაქის — მოსკოვისაკენ, როგორც ჩვენს მშობლიურ ქალაქისაკენ, და ჩვენს მგზნებარე სიყვარულს დიადი რუსი ხალხისადმი, რომელმაც პირველმა აფრიალა საბჭოების ძალა-უფლებისათვის, მუშათა კლასის დიქტატურისათვის, სოციალისტური შრომის ზეიმისათვის, მუშათა და გლეხთა დიადი მეგობრობისათვის ბრძოლის დიადი დროშა.

მადლობა, მხურვალე მადლობა მთელ რუს ხალხს! დიდი მადლობა ლენინის ქალაქის — ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის აკვნის მუშებს! მხურვალე მადლობა ჩვენი წითელი დედაქალაქის — მოსკოვის მუშებს, ივანოვოს ფეიქრებს და ფეიქარ ქალებს, დონბასის, ბაქოს, ურალის, თბილისის მუშებს, ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტის მუშებს და ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს, რომელნიც ჰქმნიან მასობრივ სტახანოვურ მოძრაობას, რაც უზრუნველჰყოფს კომუნიზმის ზეიმს დედამიწის ერთმეექვსედ ნაწილზე. **(მქუხარე ტაში, რომელიც ხანგრძლივ ოვაციაში გადადის. მისალმების შეძახილები ხალხთა დიადი თანამეგობრობის პატივსაცემად გაისმის მრავალ ნაციონალურ ენაზე).**

ამხანაგებო, გილოცავთ რა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს პირველი სესიის გახსნის დღეს, მე მხურვალედ ვისურვებ, რათა ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ — უზენაესი საბჭოს დეპუტატები — მხოლოდ ხალხის მსახურნი ვართ, რომელმაც ჩვენ წარმოგვგზავნა. ვანხორციელებთ რა ხალხის განაწესებს, ჩვენ მუდამ გვაფრთოვანებს დიდი ლენინის და სოციალისტური კონსტიტუციის შემოქმედის, ხალხთა ბელადის, ჩვენი უსაყვარლესი, დიდი სტალინის სხივმოსილი სახეები. **(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. მისალმების შეძახილები ამხანაგი სტალინის პატივსაცემად გაისმის სსრ კავშირის ხალხთა ენებზე).**

ამ მოკლე სიტყვით და სურვილებით მე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს პირველ სესიას გახსნილად ვაცხადებ. **(მქუხარე ტაში. შეძახილები: „ვაშა!“ ოვაცია. დეპუტატები თავიანთ მშობლიურ ენებზე მიესალმებიან ამხანაგ სტალინს. მისალმების შეძახილებს ახლავს მქუხარე ოვაცია, რაც რამდენიმე წუთს გრძელდება).**

დეპუტატ ნ. ა. ბულგანინის სიტყვა

ამხანაგებო, რუსეთის სფს რესპუბლიკის, ყაზახეთისა და ბელორუსიის დეპუტატთა ჯგუფმა დამავალა გამოვიდე ეროვნებათა საბჭოს პირველი სესიის დღის წესრიგის საკითხების შესახებ.

დასახელებულ დეპუტატთა ჯგუფი საჭიროდ სთვლის შეტანილ იქნას დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1. ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები.
2. ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევა.
3. ცვლილებათა და დამატებათა შეტანა სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში, სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.
4. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა:
    - ა) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა,
    - ბ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებისა,
    - გ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნისა,
    - დ) სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა.
5. სსრ კავშირის მთავრობის—სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა.
6. სსრ კავშირის პროკურორის დანიშვნა.
7. დეპუტატთა იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რაც დაკავშირებულია მათი სადეპუტატო მოვალეობის შესრულებასთან.

რაც შეეხება ამ დღის წესრიგის დასაბუთებას, ჩემ მიერ დასახელებულ დეპუტატთა ჯგუფმა დამავალა გაცნობოთ შემდეგი მოტივები:

პირველი საკითხი—ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნები გათვალისწინებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის მე-50 მუხლით.

მეორე საკითხი—ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევის შესახებ. დეპუტატები, რომელთაც დამავალეს გამოსვლა, მიზანშეწონილად სთვლიან სწორედ ასეთი კომისიების შექმნას. ამ კომისიების შექმნა აუცილებელია იმისათვის, რომ მათ შეეძლოთ საკითხების მომზადება ეროვნებათა საბჭოს გადასაჭრელად შეტანისათვის.

ბოლოს, მესამე საკითხი—ცვლილებათა და დამატებათა შეტანა სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში—გამოწვეულია კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებული ცნობილი გადაწყვეტილებებით ოლქების დაყოფისა და ახლების შექმნის შესახებ, ახალი სახალხო კომისარიატების შექმნის შესახებ.

ამხანაგებო, იმათ, ვინც დამავალეს გამოვსულიყავი აქ პირველი სესიის ამ დღის წესრიგით, დამავალეს აგრეთვე გაცნობოთ მათი აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ საჭიროდ ვთვლით მთელი რიგი საკითხები ამ დღის წესრიგიდან გადატანილ იქნას ორივე პალატის საერთო სხდომაზე, ვხელმძღვანელობთ რა კვლავ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის ცნობილი მუხლებით.

ასე, მაგალითად, ჩვენი კონსტიტუციის მე-48 მუხლი ლაპარაკობს იმაზე, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა სწარმოებს ორივე პალატის საერთო სხდომაზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის მე-56 მუხლი ლაპარაკობს იმაზე, რომ მთავრობის შექმნა.—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს შექმნა—უნდა მოხდეს აგრეთვე ორივე პალატის საერთო სხდომაზე.

შემოტანილია აგრეთვე წინადადება, რათა სხვა საკითხები—კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხი, კავშირის პროკურორის დანიშვნის საკითხი—განხილულ იქნას პალატების საერთო სხდომაზე. შემოსულია აგრეთვე წინადადება, რომ უკანასკნელი საკითხიც დეპუტატთა იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათი სადეპუტატო მოვალეობის შესრულებასთან, მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საერთო სხდომაზე.

ამასთან დაკავშირებით წინადადება შემომაქვს, დაევალოს ჩვენს თავმჯდომარეს—ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს—შეუთანხმდეს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს ისეთი საერთო სხდომის აუცილებლობის შესახებ, რომელზედაც შესაძლებელი იქნება ჩემ მიერ ჩამოთვლილი საკითხების განხილვა.

ასეთია იმ დეპუტატთა ჯგუფის წინადადება, რომლებმაც დამავალეს გამოვსულიყავი ამ საკითხების შესახებ.

დეპუტატ ნ. მ. მარჩაკის სიტყვა

— ამხანაგო დეპუტატებო, ეროვნებათა საბჭოს უკრაინელ, დაღისტნელ და ბელორუსელ დეპუტატთა ჯგუფისაგან წინადადება შემომაქვს შეიქმნას მუდმივი კომისია საკანონმდებლო განზრახულებათა შესახებ. ამ კომისიის შექმნის აუცილებლობას ჩემ მიერ დასახელებული დეპუტატები ასაბუთებენ შემდეგით: სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-32 მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის საკანონმდებლო ხელისუფლებას ანხორციელებს მხოლოდ და მხოლოდ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო“; ყველა კანონი, რომლებიც შეტანილი იქნება ეროვნებათა საბჭოს, სწორედ ისე, როგორც კავშირის საბჭოს, განსახილველად, წინასწარ უნდა იქნას განხილული და მომზადებული კომისიების მიერ.

მე, ამხანაგებო, დეპუტატთა იმ ჯგუფთან ერთად, რომელმაც დამავალა აქ გამოსვლა, ვფიქრობ, რომ ეროვნებათა საბჭოს ასეთი მუდმივი კომისიის შექმნა სავსებით მიზანშეწონილი იქნება.

დეპუტატ ა. ი. სტეცკის სიტყვა

— უზენაესი საბჭოს ამხანაგო დეპუტატებო, სომხეთის, უზბეკეთის, თურქმენეთისა და ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატთა ჯგუფის სახელით შემომაქვს წინადადება, არჩეულ იქნას ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისია.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლი საკავშირო სახელმწიფოს გამგებლობას აკუთვნებს: სსრ კავშირის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის, აგრეთვე იმ გადასახადთა და შემოსავალთა დამტკიცებას, რომლებიც შემოდის საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების შესაქმნელად.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, ყველა თქვენგანისათვის ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტს ჩვენს სახალხო მეურნეობაში, საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობაში. ბიუჯეტში ჰპოულობს ასახვას მთელი სამეურნეო ცხოვრება. ბიუჯეტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს და განამტკიცებს სამეურნეო გეგმას და მის შესრულებას. ბიუჯეტის მიხედვით ნაწილდება მნიშვნელოვნად ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო შემოსავალი მშრომელთა ინტერესებისათვის, სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების, სოფლად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისა და განვითარებისათვის. ბიუჯეტი სწორედ ასევე განსაზღვრავს კულტურული მშენებლობის ხარჯებსაც. ბიუჯეტი განსაზღვრავს ჩვენი საკავშირო სახელმწიფოს ხარჯებს ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის განმტკიცებისათვის. (მქუხარე ტაში). ამიტომ, ამხანაგებო. ბიუჯეტის საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ისინი უშუალოდ ეხებიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესებს. და ამიტომ ბუნებრივია, რომ ბიუჯეტი მეტად გულმოდგინედ უნდა განიხილოს უზენაესმა საბჭომ.

იმისათვის, რომ ბიუჯეტი უფრო ყურადღებით იქნას განხილული, დასახელებულ დეპუტატთა ჯგუფი წინადადებას იძლევა, არჩეულ იქნას ეროვნებათა საბჭოს სპეციალური საბიუჯეტო კომისია, რომელიც წინასწარ განიხილავს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უზენაესი საბჭოს სესიის დასამტკიცებლად შეტანილ ბიუჯეტის პროექტს, რომელიც შეადგენს თავის დასკვნას ამ პროექტზე და ამ თავის დასკვნას მოახსენებს ეროვნებათა საბჭოს სესიას. ამასთან ერთად, ამ კომისიამ უნდა მისცეს თავისი დასკვნაც იმ ანგარიშზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მთავრობა წარუდგენს უზენაესი საბჭოს სესიებს.

აი, გამოდის რა ამ მოსაზრებებიდან, დეპუტატთა ჯგუფს შემოაქვს წინადადება, არჩეულ იქნას სესიის დღევანდელ სხდომაზე ეროვნებათა საბჭოს მუდმივი საბიუჯეტო კომისია.

სოციალიზმის ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო

გუშინ კრემლში გაიხსნა პირველი სესია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოსი, რომელიც არჩეულია მთელი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. მსოფლიოში მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანო შეუდგა თავისი უფლებების განხორციელებას! ცხოვრობს და მოქმედებს საბჭოთა პარლამენტი, შექმნილი მშრომელთა მიერ სოციალიზმის ახალ გამარჯვებათა გულისათვის. ჩვენი დიადი სამშობლოს სადიდებლად!

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მუშაობის პირველმავე დღემ მკაფიოდ ასახა სსრ კავშირის ხალხთა მორალური და პოლიტიკური ერთიანობა. დაუვიწყარი დარჩება ხალხის არჩეულთა შეხვედრა უზენაესი საბჭოს პირველ დეპუტატთან ამხანაგ სტალინთან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან. ეს იყო კოლოსალური ძლიერების დემონსტრაცია სსრ კავშირის ხალხთა დარაზმულობისა პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

უდიდესი უბრალოებითა და საქმიანობით შეუდგა უზენაესი საბჭოს ორივე პალატა თავის სახელმწიფოებრივ მუშაობას. უბრალოება, საქმიანობა, თავდაბლობა—ეს თვისებანი დამახასიათებელია ჩვენი საბჭოთა პარლამენტისთვის, რომელიც ხალხის მიერ მოწოდებულია ბრძნულად, ლენინური, სტალინური სიბრძნით—გადასწყვიტოს ჩვენი დიადი სოციალისტური სახელმწიფოს ცხოვრების ყველაზე ძირითადი, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები.

კაპიტალისტურ ქვეყნებში პარლამენტი—ეს ასპარეზია მოლაყბეებისათვის, ბურჟუაზიის ვექილებისათვის, შირმაა ნამდვილ ბატონ-პატრონთა—კაპიტალისტთა და მემამულეთა ყოველგვარი ფარული მაქინაციისათვის. ჩვენი, საბჭოთა პარლამენტი—ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების ნამდვილად უმაღლესი ორგანოა, რომელიც სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ხალხთან და ემსახურება ხალხის ინტერესებს. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ორივე პალატაში წარმოდგენილი არიან სამშობლოს რჩეულნი, მისი საუკეთესო ადამიანები, რომელთათვის არ არის ცხოვრების სხვა მიზანი, გარდა ხალხის ბედნიერების სამსახურისა.

დეპუტატების სისხლხორცეული კავშირი ხალხთან იგრძნობოდა ასაკით უხუცესი დეპუტატების—დიდი მეცნიერის ალექსი ნიკოლოზის-ძე ბახისა და ძველი ბოლშევიკის მიხა ცხაკაიას შესავალ სიტყვებში, რომელნიც აღჭურვეს დიადი პატივით გაეხსნათ კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს სხდომები. უზენაესი საბჭოს ეს სისხლხორცეული კავშირი ხალხთან თვალნათლივ სჩანდა, როცა პალატებში დაასახელეს და ერთხმად აირჩიეს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი და მათი მოადგილეები. უზენაესი საბჭოს ეს სისხლხორცეული კავშირი ხალხთან იგრძნობა იმ დეპუტატების თვითეულ სახელში, რომელნიც გუშინ კავშირის საბჭომ და ეროვნებათა საბჭომ აირჩიეს კომისიებში.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შემოქმედებითი სახელმწიფოებრივი მუშაობა დაიწყო! სესია იხილავს დიდი მნიშვნელობის საკითხებს. ახსოვთ რა ხალხის სტალინური განაწესი იმის შესახებ, რომ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეების გადაჭრისას აუცილებელია ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივი გათვალისწინება, ორივე პალატა ირჩევს მუდმივ კომისიებს საკითხების ღრმა შესწავლისათვის: საკანონმდებლო განზრახულებათა, საბიუჯეტო, საგარეო საქმეთა კომისიებს. სესიამ უნდა განიხილოს უდიდესი მნიშვნელობის საკონსტიტუციო საკითხები, აირჩიოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, შეადგინოს სსრ კავშირის მთავრობა—სახალხო კომისართა საბჭო—და დანიშნოს სსრ კავშირის პროკურორი.

სტალინური კონსტიტუციის სრულ შესაბამისად სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში ტარდება ორივე პალატის თანასწორუფლებიანობის ურყევი პრინციპი. ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც არსებობს დაყოფა „ზედა“ და „ქვედა“ პალატებად, სადაც ზედა პალატის მიზანია არარაობამდე დაიყვანოს შეკვეცილი ბურჟუაზიული „დემოკრატიაც“ კი,—ჩვენი ორივე პალატა სავსებით თანასწორუფლებიანია და ორივე თანაბრად ემსახურება ხალხის ინტერესებს. საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენ გვაქვს უზენაესი ორგანო, სადაც წარმოდგენილია სსრ კავშირის ყველა მშრომელის **საერთო ინტერესები** დამოუკიდებლად მათი ეროვნებისა. ეს არის კავშირის საბჭო. მაგრამ სსრ კავშირის ეროვნებებს საერთო ინტერესების გარდა აქვთ კიდევ **თავისი განსაკუთრებული**, სპეციფიკური ინტერესები, რომელნიც დაკავშირებული არიან მათს ნაციონალურ თავისებურებებთან. შეიძლება თუ არა ამ სპეციფიკური ინტერესების უგულებელყოფა? არა, არ შეიძლება. საჭიროა თუ არა სპეციალური უზენაესი ორგანო, რომელიც სწორედ ამ სპეციფიკურ ინტერესებს ასახავდეს? უთუოდ საჭიროა. არავითარი ეჭვი არაა, რომ ასეთი ორგანოს გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვა, როგორიცაა სსრ კავშირი. ასეთ ორგანოს წარმოადგენს მეორე პალატა, სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭო“.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გუშინდელმა სხდომებმა მოგვცეს ბრწყინვალე ნიმუში ორივე პალატის დეპუტატთა ნებისყოფის, მისწრაფებათა, მიზანთა, სურვილთა ერთიანობის, რომელნიც ასახავენ ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის ნებისყოფისა და მიზნების მძლავრ ერთიანობას.

გიგანტური მუშაობა უნდა გასწიოს სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ. ამ მუშაობაში დეპუტატები ჰგრძნობენ მთელი საბჭოთა ხალხის მძლავრ მხარდაჭერას.

სესიის გახსნის დღე მთელს ქვეყანაში ბრწყინვალე სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. ხალხმა გამოსთქვა რწმენა, რომ მისი არჩეულნი, კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრი ბლოკის დეპუტატები შეასრულებენ თავის ამომრჩეველთა განაწესს, შემდეგშიც წაიყვანენ ქვეყანას ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების სტალინური გზით, ხალხის უფართოესი მასების კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი ზრდის გზით.

ყველა მშრომელის თვალი მიპყრობილია კრემლისაკენ, სადაც სხდომები აქვს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს. საბჭოთა ხალხი თავის დეპუტატებს წარმატებას უსურვებს მათს მუშაობაში. ხალხი თავის დეპუტატებს აძლევს მტკიცე განაწესს:

— იყვნენ ლენინურ-სტალინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწენი, იყვნენ პატიოსანნი და გულმართალნი ხალხის წინაშე. იყვნენ ჩვენი დიადი სამშობლოს და კომუნიზმის საქმის ერთგულნი. იყვნენ უშიშარნი ბრძოლაში და ულმობელნი ხალხის მტრებისადმი, გაანადგურონ და აღმოფხვრან ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები. იბრძოლონ ჩვენი მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის. განამტკიცონ ჩვენი სამშობლოს თავდაცვა და დაუზოგავად აღგავონ პირისაგან მიწისა მისი მტრები.

ეჭვი არაა, რომ ხალხის ეს სტალინური განაწესი თავისი არჩეულებისადმი მთლიანად იქნება შესრულებული, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა მუშაობა მთლიანად იქნება მიმართული ხალხის სამსახურისაკენ, სოციალიზმის ახალ გამარჯვებათა მიღწევისაკენ ლენინ-სტალინის პარტიის დიადი დროშით.

„პრავდის“ მოწინავე, 18/I

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უზენაესი საბჭოს 1-ლი სესია

ეროვნებათა საბჭოს 1938 წლის 12 იანვრის სხდომა

დეპუტატ ო. ი. შმიდტის სიტყვა

ეროვნებათა საბჭოს ამხანაგო დეპუტატებო, შორეულ - აღმოსავლეთის მხარის, უკრაინისა და თათართა ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დეპუტატების ჯგუფის სახელით შემომაქვს წინადადება — მოეწყოს მუდმივი კომისია საგარეო საქმეებისთვის. ასეთი კომისია, ჯერ ერთი — სავსებით შეესაბამება ჩვენს კონსტიტუციას და, მეორე, განისაზღვრება საქმის დედაარსით და ახლანდელი მომენტით.

ჩვენი კონსტიტუციის მე-14 მუხლში აღნიშნულია, თუ რა ფუნქციებია გამოყოფილი სსრ კავშირის, მთელი კავშირის კომპეტენციაში, მისი უმაღლესი ორგანოების სახით. მათ შორის მე-14 მუხლში აღნიშნულია:

ა) კავშირის წარმომადგენლობა საერთაშორისო ურთიერთობაში, სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებათა დადება და რატიფიკაცია;

ბ) ომისა და ზავის საკითხები;

გ) სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალ რესპუბლიკათა მიღება.

ამრიგად, საგარეო საქმეები შედის უმაღლესი ორგანოს — უზენაესი საბჭოს, მათ შორის ჩვენი ეროვნებათა საბჭოს პალატის კომპეტენციაში.

საჭიროა თუ არა ჩვენთვის საგარეო საქმეთა კომისია?

ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა არის უდიდესი ისტორიული ფაქტორი არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ საერთოდ მთელი მსოფლიოსათვის. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის თვითარსიდან, მისი სოციალისტური ბუნებიდან, რომლისთვისაც პრინციპულად უცხოა ყოველგვარი დაპყრობითი ტენდენცია, და რომელიც დაფუძნებულია ყველა, როგორც დიდი, ისე პატარა, ხალხის უფლებათა პატივისცემაზე.

სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა დაფუძნებულია აგრეთვე იმ უდიდეს მიღწევებზე, რომლებითაც ჩვენი სამშობლო შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XX წლისთავს, უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევას, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. (მქუხარე ტაში).

ჩვენ აქ მოვედით ხალხის დეპუტატებად იმ კოლოსალურ გამარჯვებათა შედეგად, რომლებსაც მიაღწიეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ბელადის, მთელი პროგრესიული კაცობრიობის ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. (მქუხარე ტაში, რომელიც გადადის ოვაციაში, მთელი დარბაზი ფეხზე დგება, „ვაშას" ძახილი).

ამ მიღწევებმა ჩვენი ქვეყანა პირველხარისხოვან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადააქციეს. ამხანაგ სტალინისა და მისი ერთგული თანამებრძოლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ ვოროშილოვის ხელმძღვანელობით (მქუხარე ხანგრძლივი ტაში. მთელი დარბაზი ფეხზე დგება, შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!", „გაუმარჯოს ამხანაგ ვოროშილოვს!", „ვაშა") — ჩვენში შექმნილია პირველხარისხოვანი წითელი არმია (მქუხარე ტაში), რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას ჩვენი სამშობლო ყოველგვარი ხელყოფისაგან და უზრუნველჰყოს მისი სამშვიდობო პოლიტიკა. (მქუხარე ტაში). ხოლო ხელყოფანი კი მშვიდობიანობის წინააღმდეგ შესაძლებელია. უფრო მეტი, მშვიდობიანობა უკანასკნელ წლებში დარღვეულია უკვე დედამიწის სამ ქვეყანაში — აფრიკასა, აზიასა და ევროპაში. დედამიწა უკვე განიცდის ომის მდგომარეობას.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ამის დავიწყება? შეგვიძლია თუ არა ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის დროს დავივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვა, რომელიც ჩვენში აქ ჰგზავნის ჯაშუშებს, დივერსანტებს, ის გარემოცვა, რომლის აგენტურა ასე ბრწყინვალედ და თანმიმდევრულად გაანადგურეს ჩვენმა შინსახკომის ერთგულმა მუშაკებმა, სტალინურმა სახალხო კომისარმა ამხ. ეჟოვმა (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. შეძახილი: „ვაშა, საყვარელ სახალხო კომისარს ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვს!" მქუხარე ტაში).



შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავივიწყოთ ეს გარემოცვა, რომელიც საკუთარი ბედისათვის შეშფოთებულია, შურით შეჰყურებს ჩვენს გამარჯვებებსა და მიღწევებს?

შეგვიძლია თუ არა ჩვენ არ დავინახოთ, თუ როგორ იზრდება საერთაშორისო ვითარებაში შემაშფოთებელი მოვლენები, თუ როგორ ძალიან ხშირად იბღალება მშვიდობიანობის პრინციპები? ჩვენს თვალწინ ზოგიერთი სახელმწიფო აშკარად არღვევს საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ცდილობენ გამოჰფიტონ ერთა ლიგა. ამავე დროს ცდილობენ შექმნან ახალი კავშირები აშკარა აგრესიული მიზნებით.

ამ საშიშ ვითარებაში, რაც 1914-18 წლების მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინახანების ატმოსფეროს მოგვაგონებს, ჩვენი საბჭოთა კავშირი მთელს მსოფლიოში აღმართულია, როგორც მშვიდობიანობის ბურჯი, როგორც კაცობრიობის იმედი (მქუხარე ტაში). ამ ვითარებაში სსრ კავშირის უზენაეს ორგანოს არ შეუძლია უაღრესი გულდასმით არ მიაქციოს ყურადღება საერთაშორისო საქმეებს. ამ ყურადღებას იზიარებს მთელი ჩვენი ქვეყანა. 170-მილიონიანი ქვეყნის მთელი მოსახლეობა ერთსულოვნად უჭერს მხარს თავის მთავრობას მის საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკაში (მქუხარე ტაში).

ჩვენი ქვეყანა მხარს უჭერს თავის მთავრობას მის სიმტკიცეში დაიცვას ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობა მთელი ჩვენი ძლიერებით.

ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია მსოფლიოში არასოდეს არნახულ მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას, როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მოლოტოვმა სთქვა. (მქუხარე ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს!" მქუხარე ტაში).

ჩვენი ქვეყანა ერთსულოვნად უჭერს მხარს მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ესოდენ ნიჭიერად ატარებს პარტიისა და მთავრობის მითითებით ერთგული სტალინელი, პარტიის ნაცადი წევრი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი (მქუხარე ტაში).

მრავალრიცხოვანი ეროვნებანი, რომლებიც შეადგენენ ჩვენს დიად საბჭოთა ხალხს, დაინტერესებული არიან მშვიდობიანობით, მხარს დაუჭერენ მას და შესძლებენ დაიცვან იგი ყოველგვარი ხელყოფისაგან. განა ჩვენ დავთმობთ ჩვენს გამარჯვებებს? არასოდეს! (მქუხარე ტაში).

საგარეო პოლიტიკის საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, დეპუტატთა ხსენებული ჯგუფის სახელით შემომაქვს წინადადება, რათა ეროვნებათა საბჭომ შექმნას საგარეო საქმეთა თავისი მუდმივი კომისია. (მქუხარე ტაში).

(საკდესი).

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს სხდომის შესახებ

1938 წლის 13 იანვარი

13 იანვარს, დღის 11 საათზე, კავშირის საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ა. ა. ანდრეევი.

პირველ საკითხად იხილავენ კავშირის საბჭოს სესიის დღისწესრიგის მეორე პუნქტს—კავშირის საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ.

დეპუტატ ნ. ს. ხრუშჩოვს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ტაშკენტის დეპუტატთა სახელით შეაქვს წინადადება საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის შექმნის შესახებ.

კავშირის საბჭო ამტკიცებს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის შემადგენლობას 10 კაცის რაოდენობით.

კომისიის შემადგენლობაში ირჩევენ:

1. კომისიის თავმჯდომარე—დიმიტრი მათეს-ძე ევტუშენკო — დეპუტატი კიევის ოლქის ბელაია ცერკოვის ოკრუგისაგან.

კომისიის წევრები:

2. ალექსანდრე ივანეს-ძე უგაროვი — დეპუტატი ქ. ლენინგრადის სმოლნის ოლქისაგან.

3. იული მოსეს-ძე კაგანოვიჩი— დეპუტატი გორკის—სტალინის ოლქისაგან.

4. მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი — დეპუტატი როსტოვის ოლქის ნოვოჩერკასკის საარჩევნო ოლქისაგან.

5. პეტრე გიორგის-ძე მოსკატოვი—დეპუტატი როსტოვის ოლქის შახტის საარჩევნო ოლქისაგან.

6. უსმან იუსუპოვი — დეპუტატი უზბეკეთის სსრ ტაშკენტის — სტალინის ოლქისაგან.

7. ოლღა თედორეს-ასული ლეონოვა — დეპუტატი ქ. მოსკოვის სვერდლოვის ოლქისაგან.

8. ფაზილა ვალიახმეტის-ძე შაგიმარდანოვი — დეპუტატი ბაშკირეთის ასსრ დუვანის ოლქისაგან.

9. ათანასე თედორეს-ძე კოვალიოვი — დეპუტატი ბელორუსიის სსრ ვიტებსკის სასოფლო ოლქისაგან.

10. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე— დეპუტატი საქართველოს სსრ ქუთაისის ოლქისაგან.

კავშირის საბჭო იღებს დეპუტატ დ. ს. კოროტჩენკოს მიერ უკრაინის, მოსკოვის, მოსკოვის ოლქისა და ყაზახეთის დეპუტატთა ჯგუფის სახელით შეტანილ წინადადებას კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის შექმნის შესახებ.

საბიუჯეტო კომისიას ირჩევენ 13 კაცის შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე — ივანე ივანეს-ძე სიდოროვი — დეპუტატი ქალაქ მოსკოვის ოქტომბრის ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

2. ალექსი ნიკოლოზის-ძე პეტროვსკი — დეპუტატი ქალაქ ლენინგრადის კრასნოგვარდეისკის ოლქისაგან.

3. ალექსანდრე ფილიპეს-ძე ნიკანოროვი — დეპუტატი არხანგელსკის საქალაქო ოლქისაგან.

4. ურაზ ჯანზაკის-ძე ისაევი — დეპუტატი ყაზახეთის სსრ სემიპალატინსკის ოლქისაგან.

5. მამადალი კურბანოვი — დეპუტატი ტაჯიკეთის სსრ კულიაბსკის ოლქისაგან.

6. ათანასე თედორეს-ძე კოვალიოვი — დეპუტატი ბელორუსიის სსრ ვიტებსკის სასოფლო ოლქისაგან.

7. ნიკოლოზ ნილის-ძე ბურდენკო — დეპუტატი ქალაქ მოსკოვის როსტოკინსკის ოლქისაგან.

8. პავლე კონსტანტინეს-ძე ლეგკონრავოვი — დეპუტატი შორეულ-აღმოსავლეთის მხარის ამურის ოლქისაგან.

9. კლავდია ივანეს-ასული ნიკოლაევა—დეპუტატი კალინინის ოლქის კაშინსკის საარჩევნო ოლქისაგან.

10. თეიმურ იმამ კული ოღლი კულიევი — დეპუტატი აზერბეიჯანის სსრ საბირ-აბადის ოლქისაგან.

11. სერგეი იაკობის-ძე ჟუკი — დეპუტატი კუიბიშევის ოლქის ჩაპაევის საარჩევნო ოლქისაგან.

12. ტურდიბიბი ისლამოვა—დეპუტატი უზბეკეთის სსრ კოკანდის სასოფლო ოლქიდან.

13. ივანე ალექსანდრეს-ძე ფესენკო—დეპუტატი დონეცის ოლქის ლისიჩანსკის საარჩევნო ოლქისაგან.

დეპუტატ ლ. პ. ბერიას წინადადებით, რომელიც მან რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და საქართველოს სსრ დეპუტატთა ჯგუფის სახელით შეიტანა, კავშირის საბჭო იღებს დადგენილებას კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის შექმნის შესახებ.

საგარეო საქმეთა კომისიას ირჩევენ 11 კაცის შემადგენლობით:

1. კომისიის თავმჯდომარე ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი— დეპუტატი ქალაქ ლენინგრადის ვოლოდარსკის ოლქისაგან.

კომისიის წევრები:

2. ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვი—დეპუტატი ქალაქ მოსკოვის კრასნაია პრესნიას ოლქისაგან.

3. ლავრენტი პავლეს-ძე ბერია — დეპუტატი საქართველოს სსრ თბილისის—სტალინის ოლქისაგან.

4. ლევ ზაქარიას-ძე მეხლისი— დეპუტატი მოსკოვის ოლქის კუნცევის საარჩევნო ოლქისაგან.

5. გიორგი მიხეილის-ძე სტაცევიჩი — დეპუტატი შორეულ - აღმოსავლეთის მხარის ხაბაროვსკის ოლქისაგან.

6. ალექსანდრე ვასილის-ძე კოსარევი — დეპუტატი დონეცის ოლქის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქისაგან.

7. ბორის ალექსანდრეს-ძე დვინსკი—დეპუტატი როსტოვის ოლქის ტაგანროგის საარჩევნო ოლქისაგან.

8. ალექსი ალექსის-ძე ვოლკოვი—დეპუტატი ბელორუსიის სსრ გომელის საქალაქო ოლქისაგან.

9. იულდაშ ახუნ-ბაბაევი — დეპუტატი უზბეკეთის სსრ ანდიჟანის ოლქისაგან.

10. დიმიტრი ზაქარიას-ძე მანუილსკი—დეპუტატი ყაზახეთის სსრ აკმოლინსკის ოლქისაგან.

11. ივანე თედორეს-ძე ფედკო— დეპუტატი უკრაინის სსრ ჟიტომირის ოლქისაგან.

კავშირის საბჭო იღებს დეპუტატ პ. გ. მოსკატოვის მიერ შეტანილ წინადადებას, რათა კავშირის საბჭოს სესიის დღის წესრიგის მე-7 პუნქტი—დეპუტატთა იმ ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან— გადატანილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საერთო სხდომაზე განსახილველად.

ამით დაიხურა კავშირის საბჭოს მეორე სხდომა.

ხალხის არჩეულნი

კავშირის საბჭოში

12 იანვარს ლალის ვარსკვლავების შუქით გახჩირაღდნებულ მოსკოვის კრემლში შეიკრიბა სოციალიზმის ქვეყნის დიადი პარლამენტი. ჭაღარა კრემლმა გულითადად მიიღო საბჭოთა ქვეყნის ბატონ-პატრონები, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები.

კრემლის დიდი სასახლის ვეებერთელა, თეთრი მარმარილოს სისპეტაკით მოელვარე დარბაზი—კავშირის საბჭოს სხდომათა დარბაზი— სწრაფად ივსება დეპუტატებითა და სტუმრებით.

სადეპუტატო ადგილებს იკავებენ მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის მიერ წარმოგზავნილნი, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის არჩეულნი.

მუშა და გლეხ დეპუტატების გვერდით სხდებიან დეპუტატები— მეცნიერნი, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკნი, წითელი არმიის მებრძოლნი და მეთაურნი.

მთელი თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირი წარმოდგენილია ამ ჭეშმარიტად სახალხო პარლამენტში, რომელიც ცხადჰყოფს სოციალიზმის ქვეყნის მძლავრ ძალასა და სიდიადეს, მის შესანიშნავ ადამიანთა ზრდას.

ოთხ საათს 15 წუთი აკლია. დიპლომატიური კორპუსის წევრები იკავებენ თავიანთ ლოჟებს. გაჭედილია საბჭოთა და უცხოეთის პრესის ლოჟები.

ოთხი საათია. უეცრად იგრიალა მქუხარე ტაშმა. ყველას თვალი მიპყრობილია ლოჟებზე, სადაც გამოჩნდებიან ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი, კოსიორი, ჟდანოვი, ეჟოვი, ლიტვინოვი, პეტროვსკი, შვერნიკი, ხრუშჩოვი, ბულგანინი, დიმიტროვი და სხვები.

უდიდესი აღფრთოვანებით ხვდებიან ხალხის არჩეულნი საბჭოთა ხალხის პირველ დეპუტატს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს და მის თანამებრძოლთ.

რამდენიმე წუთს გრძელდება ხმამაღალი, სიხარულით აღსავსე მისალმებანი სხვადასხვა ენებზე: „ურა!", „ვაშა"!", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!".

დეპუტატს ამხ. ხრუშჩოვს შეაქვს წინადადება—კავშირის საბჭოს პირველი სესიის გახსნა დაევალოს უხუცეს დეპუტატს. უხუცესია დეპუტატი აკადემიკოსი ბახი. კავშირის საბჭოს სესია მხურვალედ მიესალმება ცნობილს საბჭოთა მეცნიერს.

დეპუტატი ამხ. ბახი ადის თავმჯდომარის მაგიდასთან, უდიდეს ყურადღებით ისმენს სესია მის მღელვარე სიტყვას. იგი ლაპარაკობს ოცი წლის ბრძოლის შედეგებზე, მშრომელთა გრანდიოზულ მონაპოვრებზე, სოციალიზმის გამარჯვებაზე. ეს ისტორიული გამარჯვებანი ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში, რომელიც მოასწავებს ახალ დიად ერას კაცობრიობის ისტორიაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების ერას.

4 საათი და 25 წუთია. დეპუტატი ბახი კავშირის საბჭოს პირველ სესიას გახსნილად აცხადებს.

კავშირის საბჭოს სესიის პრეზიდიუმის შემადგენლობის შესახებ წინადადებით გამოდის დეპუტატი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ი. ი. სიდოროვი. მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის დეპუტატთა ჯგუფის სახელით მას შეაქვს წინადადება კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა საქმისათვის მედგარი მებრძოლი, კავშირის საბჭოს დეპუტატი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პოლიტბიუროს წევრი ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი.

სესია მქუხარე ოვაციებით შიესალმება ამ წინადადებას.

დეპუტატი ამხ. ბახი კენჭს უყრის შეტანილ წინადადებას.

ამხანაგ ანდრეევს ერთხმად ირჩევენ კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ. იგი იკავებს ადგილს თავმჯდომარის მაგიდასთან.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ამხ. ევტუშენკოს. ოდესის, კიევის, მინსკის დეპუტატთა ჯგუფის სახელით მას შეაქვს წინადადება კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას დეპუტატი ტროფიმე დენისის-ძე ლისენკო. ლისენკო—ხარკოვის ოლქის გლეხის შვილია, უპარტიო, აკადემიკოსი. ამჟამად იგი სათავეში უდგას ოდესის სამეცნიერო-კვლევით სასელექციო-გენეტიკურ ინსტიტუტს. ანვითარებს რა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას, ლისენკო დარვინის, ტიმირიაზევის, მიჩურინის მტკიცე მიმდევარია. აკადემიკოსმა ლისენკომ წარმატებით გადასწყვიტა თესლის შერჩევა საგაზაფხულო თესვისათვის, ბამბის და კარტოფილის თესლის სელექციის საკითხი. მისი სახელი ფართოდ ცნობილია ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეთათვის. ლისენკოს მეცნიერული შრომები ფრიად არსებითს პრაქტიკულ დახმარებას გვიწევენ სოციალისტური მინდვრების მოსავლიანობის ამაღლებაში. შესანიშნავი მეცნიერული შრომებისათვის, სოციალისტური სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის აკადემიკოსი ლისენკო დაჯილდოებულია ლენინის ორდენით.

დეპუტატ ევტუშენკოს წინადადებას ყველა დეპუტატი მხურვალედ იწონებს. და როდესაც კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. ანდრეევი კენჭს უყრის ტ. დ. ლისენკოს კანდიდატურას, დეპუტატები ერთხმად ირჩევენ მას კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

დეპუტატ ამხ. იუსუპოვს უზბეკეთისა და ყაზახეთის რესპუბლიკების, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის დეპუტატთა ჯგუფის სახელით წინადადება შეაქვს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნას უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დეპუტატი სულთან სეგიზბაევი. ამხანაგი სეგიზბაევი უზბეკეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეა. მან გაიარა სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის დიდი სკოლა, მას იცნობენ უზბეკეთის, ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების ხალხები.

დეპუტატები ერთხმად ირჩევენ ამხ. სეგიზბაევს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

დეპუტატ ამხ. ალემასოვის წინადადებით სესია ღებულობს რეგლამენტს. ერთხმად მიღებულია აგრეთვე დღის წესრიგი, რომელიც შეიტანა დეპუტატმა ამხ. ჟდანოვმა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და თბილისის დეპუტატთა ჯგუფის სახელით.

კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევნების შემდეგ სესიის პირველი სხდომა დახურულად ცხადდება. სესიის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით მიაცილებენ სხდომის დარბაზიდან მიმავალ ამხანაგ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთ.

მთელი ჩვენი ქვეყნის შეუსუსტებელი ყურადღების პირობებში შეუდგნენ დიდ სახელმწიფოებრივ მუშაობას დიადი საბჭოთა ხალხის არჩეულნი.

ეროვნებათა საბჭოში

ეროვნებათა საბჭოს სხდომის დარბაზი კრემლში აივსო ხალხის არჩეულებით, დიადი საბჭოთა ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენლებით.

8 საათია. მთავრობის ლოჟაში შემოდიან ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ჩუბარი, კოსიორი, ეჟოვი, ჟდანოვი.

დეპუტატები ხანგრძლივ მქუხარე ოვაციას უმართავენ ხალხთა დიდ მასწავლებელს და მეგობარს. „ვაშა სტალინს!". „ბედნიერი, საამური ცხოვრებისათვის ვაშა სტალინს!", — დარბაზის ყოველ კუთხიდან გაისმის მისალმების აღფრთოვანებული შეძახილები.

საბჭოთა ქვეყნის ხალხებმა თავის დეპუტატებს მისცეს განაწესი გადასცენ დიდ სტალინს სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა, უსაზღვრო მადლობის გრძნობა ბედნიერებისა და საამური ცხოვრებისათვის იმ ქვეყანაში, რომელიც ყველა მშრომელის საყვარელ სამშობლოდ გადაიქცა, დიადი სტალინური კონსტიტუციის ქვეყანაში.

და თვითეული დეპუტატი თავის ენაზე დღეს, თავის ძმურ ოჯახში უღრმესი გულწრფელობით, მთელი სულით და გულით გამოხატავს საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ამ ერთიან გრძნობას: „დიდება სტალინს, მშობლიურს და საყვარელს!".

ტრიბუნაზე ადის დეპუტატი ამხ. გ. ი. პეტროვსკი. იგი წინადადებას იძლევა ეროვნებათა საბჭოს სესიის გახსნა დაევალოს უხუცეს დეპუტატს, კომუნისტური პარტიის უძველეს წევრს ამხ. მ. გ. ცხაკაიას. სესია ტაშით ხვდება ამ წინადადებას.

ამხ. მ. გ. ცხაკაია სიტყვით მიმართავს დეპუტატებს.

ამხ. ცხაკაია ეროვნებათა საბჭოს სესიას გახსნილად აცხადებს.

რეგლამენტისა და დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სესია ირჩევს სამანდატო კომისიას.

სესია იხილავს მთელი რიგი დეპუტატების წინადადებებს ეროვნებათა საბჭოსთან მუდმივი კომისიების შექმნის შესახებ და ადგენს — შექმნას საკანონმდებლო განზრახულებათა კომისია, საბიუჯეტო კომისია და საგარეო საქმეთა კომისია.

სოციალიზმის ძლევამოსილი ქვეყნის თავისუფალ ხალხთა მაღალი ნდობით აღჭურვილი ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები შეუდგნენ თავის საპასუხისმგებლო სახელმწიფო მუშაობას. (საკდესი).

მხურვალედ მივესალმებით ჩვენს სახალხო პარლამენტს

მოსკოვი, 12 იანვარი (საკდესი). მოსკოვის ძერჟინსკის სახელობის ტრიოხგორნაია მანუფაქტურის საამქროებში შესდგა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიისადმი მიძღვნილი მიტინგები. მიტინგებზე ერთსულოვნად მიღებულია რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ჩვენ ძერჟინსკის სახელობის ტრიოხგორნაია მანუფაქტურის მუშები, მუშა-ქალები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურენი მხურვალედ მივესალმებით კომუნისტებისა და უპარტიოების მძლავრი ბლოკის მიერ არჩეულ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს, რომელიც თავის ისტორიულ პირველ სესიაზე იკრიბება.

ჩვენ ამ დღეს მხურვალე სიყვარულის სიტყვებს მივმართავთ ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელის, კონსტიტუციის შემოქმედის, ბედნიერი ცხოვრების შემოქმედის, მთელი ხალხის დეპუტატისადმი— ძვირფასი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი, მისი საიმედო, გენიალური ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყანამ ააშენა სოციალიზმი, განახორციელა მშრომელთათვის ბედნიერი, თავისუფალი, სრულუფლებიანი ცხოვრება, რომელზეც მრავალი საუკუნის განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის მოწინავე ადამიანები.

უზენაესი საბჭოს სესია იკრიბება ჩვენი დიდი მასწავლებლის, ბოლშევიკური პარტიისა და სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორის— ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების XIV წლისთავის წინადღეს.

ლენინის საქმის დიადმა განმგრძობმა ამხანაგმა სტალინმა გამოატარა ლენინის დროშა ყველა სიძნელესა და დაბრკოლებათა შორის, მიუხედავად ხალხის გარეშე და შინაგანი მტრების ყოველგვარი ცდებისა—რათა ხელი შეეშალათ ჩვენთვის სოციალიზმის შენებაში.

ჩვენ, ტრიოხგორელები, ვაცხადებთ, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ჩვენს სიფხიზლეს და გამოვააშკარავებთ ხალხის ყველა მტერს,— ბოლშევიკურად გავაჩაღებთ მასობრივ მუშაობას რსფსრ უზენაესი საბჭოს და საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მოსამზადებლად, დაუღალავად, დღითიდღე გავაფართოვებთ სტახანოვურ მოძრაობას.

— გაუმარჯოს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს!

— გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევ კავშირს!

— გაუმარჯოს საყოველთაო-სახალხო დეპუტატს, მშრომელთა ბელადსა და მასწავლებელს, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!"

მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები მიკროფონთან

მოსკოვი, 13 იანვარი (ჩვენი საკ. კორესპ.). დღეს, კავშირის საბჭოს სესიის გახსნის წინ, რადიომისალმებით გამოვიდნენ 11 მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელნი. საქართველოდან მისალმებით გამოვიდა უზენაესი საბჭოს დეპუტატი ამხ. დავით ჭიჭინაძე. მან წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„სსრ კავშირის ხალხთა ყველა ენებზე—რუსულ, უკრაინულ, ბელორუსიულ, ქართულ, სომხურ, ყირგიზულ, თურქულ და სხვა ენებზე გაისმის სამშობლოსადმი, დიდი ბელადის სტალინისადმი სიყვარულის სიტყვები. ქართველმა ხალხმა თავის დეპუტატებს მისცა შემდეგი განაწესი—კიდევ უფრო განამტკიცონ ხალხთა მეგობრობა, კიდევ უფრო ენერგიულად ებრძოლონ ხალხის მტრებს. ამ განაწესს ჩვენ პირნათლად შევასრულებთ. კრემლში მიმავალი ვამბობ: დაე მუდამ ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, დაე ბრწყინავდეს სტალინური გამარჯვებათა მზე, რომელიც გვიშუქებს გზას კომუნიზმისაკენ".

უცხოეთის პრესის გამოძახილი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნაზე

საფრანგეთი

პარიზი, 12 იანვარი (საკდესი). „ლუმანიტე" ბეჭდავს „ფრანს-მონდის" სააგენტოს დეპეშას, სადაც აღწერილია სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს სესიაზე დეპუტატების, ხალხის რჩეულთა ჩამოსვლა მოსკოვში. დეპეშა იუწყება აგრეთვე სსრ კავშირის მშრომელთა ახალი საწარმოო მიღწევების შესახებ უზენაეს საბჭოს სესიის გახსნასთან დაკავშირებით.

„მშრომელთა დეპუტატები, ნათქვამია კორესპონდენციაში, არ არიან „პარლამენტარები" ამ სიტყვის ჩვეულებრივი, ძველი აზრით, „პარლამენტარები", რომლებიც ჩვეულებრივად მხოლოდ არჩევნების დროს ხვდებიან თავის ამომრჩევლებს, ხოლო ამის შემდეგ ივიწყებენ მათ. საბჭოთა კავშირში, მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოში, სახელმწიფოს საქმეთა მართვას ახორციელებენ ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები".

დასასრულ აღნიშნულია, რომ დეპუტატებს თან მოაქვთ მოსკოვში საჩუქრები, რომლითაც ისინი მიუძღვნიან უზენაეს საბჭოს სესიას მშრომელთა მასების სახელით და რომლებიც წარმოადგენენ თავისუფალი და სასიხარულო შრომის ნაყოფს.

ესპანეთი

ბარსელონა, 12 იანვარი (საკდესი). მოწინავე სტატიაში სათაურით „მსოფლიო ამბავი" „ფრენტე როხო" სწერს: „დღეს სტალინური კონსტიტუცია უკვე რეალობაა — საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ცოცხალი და ნამდვილი პრაქტიკაა. თვალუწვდენელი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში, რომელმაც ახალი წყობილება, ახალი ცხოვრება შექმნა, სამუდამო სახსოვარი დარჩება დღევანდელი თარიღი, როდესაც დიადი ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც არჩეული არიან თავისუფალი ბედნიერი საბჭოთა მოქალაქეების მიერ თავისუფლებისა და კეთილდღეობის პირობებში, პირველად იკრიბებიან სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს სესიაზე.

არჩევნები სსრ კავშირში, განაგრძობს გაზეთი, იყო მსოფლიოს ყველა მუშისა და ყველა ხალხის გამარჯვება. დღეს ეს გამარჯვება ხორციელდება. სტალინელ დეპუტატების პირველი სხდომა წარმოადგენს კულტურის, მშვიდობიანობის გამარჯვებას, იმ ნამდვილი დემოკრატიის გამარჯვებას, რომლისთვისაც იბრძვის ესპანელი ხალხიც.

სსრ კავშირი შეურყევლად მიდის კომუნიზმის გზით. მან შექმნა სოციალისტური, მსოფლიოში ჯერ არყოფილი დემოკრატია, რომელიც შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ სსრ კავშირში ყოველთვის, მაშინაც კი, როდესაც იგი მტრებით იყო გარემოცული, ურღვევი იყო ხალხის ერთობა ბელადებთან, ერთობა, რომელიც შთაგონებული იყო ლენინ-სტალინის გენიალური მოძღვრებით.

„ჩვენ, ვინც ცივილიზაციის მოსისხლე მტრების — ფაშისტთა წინააღმდეგ ვიბრძვით ესპანეთში, ყველა ჩვენი საბრძოლო დროშით მივესალმებით დიად მოვლენას იმ ქვეყანაში, რომლის ხალხთა თანაგრძნობას ჩვენი საქმისადმი ჩვენ არაოდეს არ დავივიწყებთ".

იმისათვის, რომ ეს ბედნიერი დღე დამდგარიყო, ხაზგასმით აღნიშნავს „ფრენტე როხო", საჭირო იყო თავის დროზე თეთრი არმიის, ინტერვენტების განადგურება და მასების პოლიტიკურად მობილიზება მსოფლიო - ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად. სსრ კავშირის გამოცდილება ჩვენთვის მაგალითს წარმოადგენს ჩვენს ბრძოლაში ფაშისტების, ინტერვენტების წინააღმდეგ. ესპანელი ხალხი, დაასკვნის გაზეთი, მხურვალე სალამს უძღვნის საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, რომლებიც შეიკრიბნენ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს პირველ სესიაზე.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 12 იანვარი (საკდესი). ყველა გაზეთი აღნიშნავს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს პირველი სესიის სხდომის გახსნას. გაზეთები დაწვრილებით ინფორმაციას აქვეყნებენ თვალუწვდენელი საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან საბჭოთა პარლამენტის დეპუტატების ჩამოსვლის შესახებ, რომელნიც აღჭურვილი არიან მშრომელთა უფართოესი მასების ნდობით. მთელი რიგი გაზეთები ვრცელ სტატიებს უძღვნიან უზენაესი საბჭოს სესიის გახსნას.

„რუდე პრავო" მოწინავეში, რომელსაც სათაურად აქვს: „უზენაესი საბჭო თავის მუშაობას შეუდგა", აღნიშნავს, რომ საბჭოთა პარლამენტი მთელი მსოფლიოსათვის ნამდვილი სოციალისტური დემოკრატიის ნიმუშს წარმოადგენს. გაზეთი სწერს: „საბჭოთა პარლამენტი წარმოადგენს საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის, საბჭოთა ქვეყნის მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის ერთიანობის გამოხატულებას". აღნიშნავს რა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მოწვევის პოლიტიკურ მნიშვნელობას, გაზეთი სწერს, რომ სესია კვლავ დაანახვებს მთელს მსოფლიოს, თუ როგორ მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს სსრ კავშირი, რომელიც მრავალეროვან საბჭოთა ხალხის ერთიანობას ეყრდნობა. „საბჭოთა პარლამენტი, — სწერს გაზეთი, — იკრიბება იმ პერიოდში, როდესაც მთელი დანარჩენი მსოფლიო ფაშისტური აგრესორების მხრივ ახალი თავდასხმების მუქარის წინაშე სდგას. ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს პირველ სესიას, იმ ქვეყნისა, რომელიც მტკიცე და საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს მშვიდობიანობის, დემოკრატიისა და მცირე ერთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მთელი დემოკრატიული მსოფლიო შეჰყურებს საბჭოთა პარლამენტს, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის ფორპოსტს". „მსოფლიოს ყველა პროლეტარი, — სწერს დასასრულ გაზეთი,—მიესალმება საბჭოთა პარლამენტს, როგორც იმ სოციალისტური ქვეყნის უმაღლეს ორგანოს, რომელიც წარმოადგენს მათ სამშობლოს, მათ ძალასა და საყრდენს, მათ დიად იმედს საერთაშორისო პროლეტარიატისა და მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავლის მიღწევისათვის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკელთა არტილერია დიდ აქტიობას იჩენს

(საკდესის ცნობით პარიზიდან და ბარსელონიდან)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რომელიც 10 იანვარს გამოქვეყნდა, რესპუბლიკელთა ჯარებმა გაიუმჯობესეს პოზიციები მუელა და ტერუელის სექტორში, სადაც მათ ტყვედ ჩაიგდეს ხელში 50 კაცი. ტერუელის ფრონტის დანარჩენ უბნებზე მნიშვნელოვანი რამ არაფერი მომხდარა.

ესპანის სააგენტოს ცნობით, სარაგოსის სექტორში რესპუბლიკურმა არტილერიამ დღისით 9 იანვარს მნიშვნელოვანი აქტივობა გამოიჩინა. რესპუბლიკელთა ნაწილებმა შესძლეს მიეგნოთ მეამბოხეთა ბატარიისათვის, რომელიც განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა უკანასკნელ დღეებში. ამ ბატარიას საარტილერიო სროლა გაუმართეს რესპუბლიკელებმა. ამ სროლის შემდეგ მეამბოხეთა პოზიციებზე მოისმა უდიდესი ძალის აფეთქება.

ბოლტანიის სექტორში რესპუბლიკელთა მეთვალყურეებმა გამოარკვიეს მეამბოხეთა ჯარების მოძრაობა. რესპუბლიკელთა ბატარიებმა მარჯვე სროლით გაფანტეს ფაშისტური ჯარების გროვა.

ცენტრალურ ფრონტზე და აგრეთვე ანდალუზიის ფრონტზე აღნიშნავენ რესპუბლიკელთა არტილერიის დიდ აქტივობას.

ესპანის სააგენტოს ცნობით, მეამბოხეთა არტილერია დღისით 9 იანვარს ყუმბარებს უშენდა მადრიდს.

ვისენტე როხო დაჯილდოებულია ორდენით „მადრიდის დაფნა"

ბარსელონა, 12 იანვარი (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით, გენერალური შტაბის უფროსი **გენერალი ვისენტე როხო** დაჯილდოებულია რესპუბლიკის უმაღლესი ორდენით **„მადრიდის დაფნით"**. დეკრეტში აღნიშნულია, რომ გენერალმა როხომ დაამუშავა ტერუელის ფრონტზე რესპუბლიკელთა არმიის შეტევის გეგმა და თავდაცვის მინისტრის დავალებით პირადად ხელმძღვანელობდა ოპერაციების მთელ მიმდინარეობას. გენერალ როხოს დაჯილდოება „მადრიდის დაფნის" ორდენით მეორე შემთხვევაა ამ ორდენის დაწესების დროიდან. უმაღლესი ორდენი პირველად გენერალმა მიახამ მიიღო.

გერმანელი ოფიცერი იტალიის არმიის შესახებ

ვენა, 8 იანვარი. ბაზელში გამომავალი გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი" აქვეყნებს გერმანიის ერთერთი უმაღლესი ოფიცრის მიერ ინტიმურ წრეში გაკეთებულ განცხადებას, რომელშიც მან მკვეთრად გააკრიტიკა იტალიის არმიის მდგომარეობა.

„მე მხოლოდ ის მინდა, რომ ჩვენ არასოდეს არ მოგვიხდეს იტალიის შეიარაღებული დახმარებისადმი მიმართვა. იტალიის არმიის ბრძოლისუნარიანობა, ავიაციაზე თუ არ ვილაპარაკებთ, დაბალ დონეზეა. ეს დაამტკიცა იტალიელთა ნაწილების დამარცხებამ ესპანეთში გვადალახარასთან. იტალიელთა წარმატებანი ჩრდილოეთ ესპანეთში სამხედრო თვალსაზრისით არაფერს არ ნიშნავს. ისინი მიღწეულ იქნა არა სიმამაცით, არამედ მატერიალური და ტექნიკური უპირატესობით რესპუბლიკური მილიციის არაქათგამოლეული რაზმების წინაშე".

(გაზ. „ინდუსტრია").

ესპანეთის სოციალისტური და კომუნისტური პარტიების კავშირის კომიტეტის სხდომა

ბარსელონა, 11 იანვარი (საკდესი). 6 იანვარს შესდგა ესპანეთის სოციალისტური და კომუნისტური პარტიების კავშირის კომიტეტის სხდომა, რომელმაც დაადგინა სპეციალური დელეგაციები გამოიყოს პროვინციებში ორივე პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციათა შორის ურთიერთობის განსამტკიცებლად.

კომიტეტმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნა მუშათა საყოველთაო კავშირის რიგებში ერთიანობის აღდგენა და დაადგინა გამოაქვეყნოს ამის შესახებ მიმართვა ყველა სოციალისტისა და კომუნისტისადმი და მოუწოდოს მათ მუშათა საყოველთაო კავშირის ერთიანობის განმტკიცებისაკენ.

სამხედრო მოქმედებანი ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

ხანკოუ, 10 იანვარი (საკდესი). 9 იანვარს ანხუეის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩინელთა ჯარები თავს დაესხნენ იაპონელთა ჯარის რაზმს, რომელიც წინ იწევდა უხუ-გუანდის გზატკეცილით 50 სატვირთო მანქანაზე. 10 სატვირთო მანქანა დამსხვრეულია და მოკლულია დაახლოებით 100 იაპონელი ჯარისკაცი. გუანდის მახლობლადაც იაპონელთა ჯარებს თავს დაესხა პარტიზანთა რაზმი. განადგურებულია იაპონელთა 10-ზე მეტი სატვირთო მანქანა.

9 იანვარს იაპონელთა 38 ყუმბარმსროლი და 15 გამანადგურებელი თავს დაესხნენ ქალაქ ნანჩანს (ძიანსის პროვინციის დედაქალაქს). იაპონელთა და მათ წინააღმდეგ გაფრენილ ჩინელთა თვითმფრინავებს შორის გაიმართა საჰაერო ბრძოლა. ჩამოაგდეს იაპონელთა ორი მძიმე ყუმბარმსროლი. მფრინავები დაიღუპნენ.

ჩრდილოეთ ჩინეთში

ხანკოუ, 10 იანვარი (საკდესი). შანდუნის პროვინციაში გუშინ მთელი დღე სწარმოებდა ბრძოლა ქალაქ ძინინის გარშემო (შანდუნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი). იაპონელთა ჯარები, რომლებმაც ვაგზლის რაიონი დაიკავეს, დღის დამლევისათვის ჩინელებმა გამოდევნეს იქიდან. ორივე მხარეს დიდი დანაკარგები აქვს. ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ტენსიანიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე რაიონში (ძინინის სამხრეთ-აღმოსავლეთით).

ლონდონი, 10 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ცინდაოდან იუწყება, რომ ცინდაოში მყოფ იაპონელთა 12 სამხედრო გემისა და სამხედრო ტრანსპორტის გარდა იქ მოვიდა კიდევ 5 ნაღმოსანი.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იაპონელთა 7 თვითმფრინავი ქალაქის თავზე დაფრინავდა და ჰყრიდა ფურცლებს. ამ ფურცლებში წინადადება ეძლევა ჩინელ მოსახლეობას უსიტყვოდ დაემორჩილოს იაპონელთა ოკუპაციას.

იაპონელთა მეზღვაურების რაზმს, რომელიც პირველი გადმოჯდა ერთერთ ზღვისნაპირა პუნქტში ცინდაოდან 29 კილომეტრის მანძილზე, შეხვდა გერმანელთა დელეგაცია ვინმე ოჰლერი—ადგილობრივ გერმანელ ფაშისტთა ხელმძღვანელის მეთაურობით. დელეგაციის სამოტორო კატარღაზე ფაშისტური გერმანიის ბაირაღი ფრიალებდა.



სამხრეთ ჩინეთში

ლონდონი, 10 იანვარი (საკდესი). გაზეთ „დეილი მეილის" ჰონკონგელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონელთა სამხედრო გემებმა სროლა აუტეხეს ჩინეთის ფორტებს პინხაეში, ფუძიანის პროვინციის ზღვის სანაპიროებზე. ამის წინ იაპონელები არაერთხელ შეეცადნენ დესანტი გადმოესხათ ამ რაიონში, მაგრამ უშედეგოდ. იაპონელთა დესანტმა დიდი ზარალი ნახა და იძულებული გახდა დაბრუნებულიყო თავის გემებზე. შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ 9 იანვარს იაპონელთა თორმეტი თვითმფრინავი თავს დაესხა ქალაქ ნაინინს (გუანსის პროვინციაში). დანგრეულია ბევრი შენობა, მოკლულია ფრანგი მღვდელი.

იაპონიის კაბინეტის საგანგებო სხდომა

ტოკიო, 10 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ასახი" იუწყება, რომ 9 იანვარს შესდგა იაპონიის კაბინეტის საგანგებო სხდომა, რომელზედაც განხილული იყო საკითხი ჩინეთის მიმართ იაპონიის მოქმედებათა შესახებ. კაბინეტმა დაადგინა ჩინეთის მიმართ „უფრო გადამწყვეტი ზომების" მიღება. კაბინეტის სხდომის დროს ადმირალმა სუეცუგუმ გამოსთქვა აზრი, რომ იაპონიამ ომი უნდა გამოუცხადოს ჩინეთს და „სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს" ნანკინის მთავრობას ყველა იმ გზის ბლოკირებით, რომლითაც შესაძლებელია იარაღის მიწოდება ჩინეთის არმიისათვის. ამავე ხასიათის აზრები გამოსთქვეს კაბინეტის დანარჩენმა წევრებმაც. ზოგიერთი მინისტრი მოითხოვდა, რომ იაპონია გამოვიდეს განცხადებით ჩან კაი-შის მთავრობის არცნობის შესახებ და გაიწვიოს იაპონელი ელჩი ჩინეთიდან. სხდომა ცხარე და დაძაბულ პირობებში მიმდინარეობდა.

მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ შესდგა გაერთიანებული თათბირი პრემიერისა საგარეო საქმეთა, სამხედრო და საზღვაო მინისტრებთან და კაბინეტის მრჩეველებთან. გაზეთის სიტყვით, ამ თათბირზე მოწონებული იქნა მთავრობის მიერ დასახული პოლიტიკა.

გარდამავალი დროშა ახალციხის რაიონს

მეოთხე წელიწადია, რაც საქართველოში მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობაზე. ეს მშენებლობა უმთავრესად სოფლის მშრომელი მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით ხორციელდება.

ამასწინათ შესდგა უგზოობასთან ბრძოლის შტაბის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით 1937 წელს შესრულებული საგზაო მშენებლობის შედეგები. გამოირკვა, რომ წლიური გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, გაყვანილია 620 კილომეტრი ახალი გზა და შეკეთებულია მთელი რიგი არსებული გზები.

რაიონებიდან გზების მშენებლობაში ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს იძლევა ახალციხის რაიონი, სადაც მშრომელებმა შესძლეს უგზოობის ძირითადად მოსპობა და მთელი რიგი დაშორებული სოფლები დაუკავშირეს რაიონის ცენტრს კარგი სავალი გზებით.

უგზოობასთან ბრძოლის რესპუბლიკურმა შტაბმა დაადგინა გარდამავალი დროშა გადაეცეს ახალციხის რაიონს და ამასთან დააჯილდოვა იგი 15 ათასი მანეთით.

აქამდე გარდამავალი დროშა ხელთ ეპყრა ყარაიას რაიონს.

სასკოლო მუშაობის კაბინეტში

სასკოლო მუშაობის კაბინეტმა, რომელიც რესპუბლიკის სკოლებს ემსახურება, ბოლოდროს გააძლიერა მუშაობა.

კაბინეტმა სულ მოკლე ხნის განმავლობაში მრავალი მეთოდური წერილი და სასკოლო-დიდაქტიკურ ხელსაწყოთა ნიმუშები დაამზადა. დამზადებულია აგრეთვე სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო პლაკატები, მოდელები და სურათები. ყველაფერი ეს გამოფენილია სასკოლო მუშაობის კაბინეტში, მაგრამ მათი გამრავლება და სკოლებისათვის მიწოდება განსახკომმა დღემდე ვერ მოაგვარა; თვით კაბინეტს კი არა აქვს სამისოდ სათანადო ბაზა და მატერიალური საშუალება.

სასკოლო მუშაობის კაბინეტმა ვერ მოაგვარა რაიონების პედკაბინეტებისათვის ცოცხალი, კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევა. რაიონების ახლად ჩამოყალიბებულ პედკაბინეტებს კი დიდი დახმარება და ხელისშეწყობა სჭირდებათ.

საჭიროა განსახკომმა მეტი ყურადღება მიაქციოს ამ მნიშვნელოვან დაწესებულებას და საქართველოს სკოლებს შესაძლებლობა მისცეს გამოიყენონ მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება, რაც ამ კაბინეტში იყრის თავს.

შ. კერიძე

ზამთარი ლენინგრადში

ლენინგრადი (საკ. კორ.). წელს ლენინგრადში არაჩვეულებრივი ზამთარი დგას. უკვე მესამე კვირაა ინტენსიურად თოვს, რის შედეგად ქალაქის ქუჩებში დაგროვდა თოვლის დიდი მასა.

თოვლისაგან ქუჩების გაწმენდაზე მუშაობს 10.000-ზე მეტი კაცი; ორი ათასი ავტომანქანა და საჭაპანო ტრანსპორტი განუწყვეტლივ ეზიდებიან თოვლს. ლენინგრადის მცხოვრებლებს 7 წელია არ უნახავთ ასეთი ზამთარი. წელს თოვლი იმდენი მოვიდა, რამდენიც გასული შვიდი წლის განმავლობაში ერთად.

ოთ. ეგაძე

შ. რუსთაველის იუბილე

რაიონებში

11 იანვარს ბორჯომში შესდგა შოთა რუსთაველის საიუბილეო საღამო. მოხსენებით გამოვიდა მწერალი ვასო გორგაძე. ლექსები წარმოსთქვეს პოეტებმა სოლომონ თავაძემ, ვარლამ ჟურულმა და ვ. გორგაძემ. შემდეგ გამოვიდნენ ადგილობრივი თეატრის მსახიობები და ბორჯომის სკოლების მოსწავლენი, რომლებმაც წაიკითხეს ადგილები შოთას უკვდავი „ვეფხის-ტყაოსნიდან".

გ. ლომიძე

* * *

„ვეფხის-ტყაოსნის" 750 წლისთავის აღსანიშნავმა იუბილემ ცხაკაიას რაიონში დიდი ზეიმის ხასიათი მიიღო. საღამოები მოეწყო რაიონის წარმოება - დაწესებულებებში, ხოლო 2 იანვარს შესდგა ქ. ცხაკაიას საბჭოს საზეიმო პლენუმი. პლენუმს დაესწრო 800-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე და კოლმეურნე.

შოთა რუსთაველის ცხოვრებაზე და მისი უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" მნიშვნელობაზე შინაარსიანი მოხსენებით გამოვიდა საქ. მწერალთა კავშირის წარმომადგენელი ვ. გორგაძე. მოხსენების შემდეგ შოთასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა პ. სამსონიძემ და ვიქ. გაბესკირიამ. საკუთარი ლექსი წაიკითხა აგრეთვე 1 საშუალო სკოლის მოწაფემ ბერაიამ, ხოლო ამავე სკოლის ფრიადოსანმა მოწაფემ ვ. გაბისონიამ წარმოსთქვა ზეპირად ადგილები „ვეფხის-ტყაოსნიდან".

შემდეგ გაიმართა ლოტბარ რემა შელეგიას ხელმძღვანელობით არსებული გუნდის კონცერტი.

იუბილესთან დაკავშირებით ქ. ცხაკაიაში მოეწყო მოსწავლეთა მიერ რუსთაველისადმი მიძღვნილი სურათების, ლექსებისა და კედლის გაზეთების გამოფენა.

გრ. გეგენავა

მეიერხოლდის თეატრის შესახებ

თბილისის თეატრალური საზოგადოება დიდი კმაყოფილების გრძნობით შეეგება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის დადგენილებას — მეიერხოლდის თეატრის, როგორც საბჭოთა ხელოვნებისათვის უცხო თეატრის, ლიკვიდაციის შესახებ.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის, მარჯანიშვილის სახელობისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის მუშაკთა კრებებზე ფართოდ იქნა გაკრიტიკებული მტრული საქმიანობა მეიერხოლდის თეატრისა, რომელიც გაურბოდა ჩვენი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი რეალისტური სპექტაკლის შექმნას და მიჰყვებოდა სოციალისტური ხელოვნებისაგან დაგმობილ ბურჟუაზიულ-ფორმალისტურ გზას.

აღნიშნული თეატრების მუშაკთა კრებებზე მოხსენებებითა და სიტყვებით გამოსული ამხანაგები აკ. ვასაძე, გაბუნია, დ. ალექსიძე, დ. ანთაძე, ს. ჭელიძე, გ. ჟურული, ი. ვაკელი, ალ. თაყაიშვილი და სხვები აღნიშნავდნენ: მეიერხოლდის თეატრი ჩამოშორდა საბჭოთა სინამდვილეს, ჩაეფლო დამყაყებულ ფორმალიზმში, თეატრიდან განდევნა საბჭოთა დრამატურგია, განდევნა საუკეთესო ძალები და დიდი ოქტომბრის ოცი წლის თავს შეხვდა იდეურად და მხატვრულად სრულიად გაკოტრებული.

— თეატრი, რომელიც არ სდგება საბჭოთა პლატფორმაზე, არ ემსახურება საბჭოთა მილიონიან მაყურებელს და ამახინჯებს საბჭოთა სინამდვილეს, უნდა განიდევნოს სოციალისტური ხელოვნების არენიდან. ჩვენ, თეატრალური ფრონტის მუშაკები, ხმას ვუერთებთ ხელოვნების კომიტეტის დადგენილებას, ვგმობთ მეიერხოლდის თეატრის გზასა და საქმიანობას და პირობას ვდებთ საბჭოეთის მრავალმილიონ მშრომელთა წინაშე — მედგრად ვიბრძოლოთ ყველა ამგვარ დამახინჯებათა წინააღმდეგ და გაასკეცებული ენერგიით უფრო მაღლა ავწიოთ ჩვენი უძლეველი საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს კულტურის გამარჯვების დროშა — ასეთი იყო მთავარი აზრი, რომელიც აღნიშნული თეატრების მუშაკებმა გამოსთქვეს თავიანთ სიტყვებსა და რეზოლუციებში.

ახალი სკოლები და კულტურული დაწესებულებანი

წელს თბილისში აშენდება 4 სასკოლო შენობა — თვითეული 480 მოწაფისათვის. სასკოლო შენობები აიგება აგრეთვე ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, გუდაუთში, დუშეთში, თელავში, ჭიათურასა და ბათუმში — თვითეული 400 მოწაფისათვის. გარდა ამისა, ბორჯომსა და ახალციხეში აშენდება თითო სკოლა 280 მოწაფისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სასკოლო მშენებლობას ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში. ახალციხის რაიონში აშენდება ერთი სკოლა 140 მოწაფისათვის, ახალქალაქისაში — 2 სკოლა 595 მოწაფისათვის, ასპინძისაში—2 სკოლა 210 მოწაფისათვის, ადიგენისაში— ერთი სკოლა 245 მოწაფისათვის, ბოგდანოვკისაში — 2 სკოლა 490 მოწაფისათვის. სოფ. შატილში აიგებენ ერთ 245 ადგილიან სკოლას ინტერნატით. აჭარის რაიონებში აშენდება 5 სკოლა 625 მოწაფისათვის.

სასკოლო მშენებლობაზე ქალაქად დაიხარჯება 9 მილიონი 139 ათასი მანეთი. ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში კი — 2 მილიონ 200 ათასი მანეთი.

ზამთარი ბაკურიანში
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გაგრძელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ-ქიმიური კორპუსის მშენებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია 2 მილიონი მანეთის დახარჯვა. ამ კორპუსის მშენებლობა 1939 წელს დამთავრდება. წელს დამთავრდება სოხუმის პედინსტიტუტის მშენებლობა, რაზედაც დაიხარჯება 439 ათასი მანეთი, და სტალინირის სამასწავლებლო ინსტიტუტისა, რაზედაც დახარჯული იქნება 829 ათასი მანეთი. გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის მშენებლობის დასამთავრებლად გადადებულია 190 ათასი მანეთი. თიანეთისა და გეგეჭკორის პედსასწავლებლების შენობათა დამთავრებას მოხმარდება 278 ათასი მანეთი.

გეგმით გათვალისწინებულია წელს აშენდეს 20 ახალი საბავშვო ბაღი 1650 ბავშვისათვის. საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის გათვალისწინებულია სამი მილიონი მანეთის დახარჯვა.

გარდა ამისა, ქუთაისში დაიწყება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის აგება, რისთვისაც გადადებულია 200 ათასი მანეთი. ამ მუზეუმის მშენებლობა 1939 წელს დამთავრდება. ამბროლაურში ბიბლიოთეკისათვის აიგება შენობა, რომელიც დაჯდება 185 ათასი მანეთი. აშენდება სოცკულტურის სახლები: აბაშასა, ორჯონიკიძესა და დიდი ლილოში. სოცკულტსახლების მშენებლობას 771 ათასი მანეთი მოხმარდება. ქუთაისში აშენდება საბავშვო სახლი, რომელიც 327 ათასი მანეთი დაჯდება.

სასკოლო და კულტურულ დაწესებულებათა ჩამოთვლილ მშენებლობაზე დაიხარჯება 25 მილიონამდე მანეთი. ამ დღეებში სოფლის კულტურულ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმაც დამტკიცდება.

თბილისის მოსწავლეები კომკავშირელთა ხეივანში.
ფოტო სტოლიაროვისა და რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ფეხბურთი

პირველი ყაიმი

1938 წლის პირველი მატჩი ფეხბურთში, რომელიც გაიმართა ლ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე 12 იანვარს, სსრკ უზენაესი საბჭოს პირველი სესიის გახსნის დღეს, ფრიად საინტერესო გამოდგა. თამაშობდნენ საქართველოს 1937 წლის ჩემპიონი — „ლოკომოტივი" და ქალაქის ნაკრები გუნდი, რომელშიაც შედიოდა ხუთი მოთამაშე „ბურევესტნიკიდან", ოთხი — ინდუსტრიული ინსტიტუტიდან და ორი — სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

„ლოკომოტივში" არ თამაშობდნენ მ. ბოლოტინი და ვორონოვი, მათი ადგილი ახალგაზრდა მოთამაშეებმა დაიკავეს. ნაკრები გუნდი ათი კაცის შემადგენლობით გამოვიდა მინდორზე. ამით ისარგებლეს ლოკომოტიველებმა და უკვე მეხუთე წუთზე ბ. ჩიტაიამ შორიდან პირველი ლამაზი ბურთი გაიტანა.

მალე ნაკრებ გუნდს შეემატა მეთერთმეტე მოთამაშე. ამან ხელი შეუწყო გარღვეული ფრონტის გამოსწორებას. ნაკრები გუნდის ფეხბურთელები თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდნენ და მე-12 წუთზე ქ. იმნაძემ გააქვითა ანგარიში.

რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე ქ. იმნაძემ, რომელიც ამ დღეს განსაკუთრებით კარგად თამაშობდა, მოხდენილად გაიტაცა ბურთი და ის-ის იყო გოლში უნდა დაერტყა, რომ „ლოკომოტივის" მცველმა უხეშად დაუდო ფეხი და ყირამალა გადაატრიალა. მსაჯმა „პენალტი" დანიშნა და ბურთი მეორედ გაეხვია ლოკომოტიველების ბადეში.

შემდგომმა თამაშმა ნაკრები გუნდის უპირატესობით ჩაიარა და პირველი ტაიმი დაამთავრა 3:2 მის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმიც დაძაბული თამაშით ხასიათდებოდა. ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. ბურთი ხშირად ტრიალებდა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის კართან. ბევრი მუშაობა მოუხდა ორივე მეკარეს — ჩიქოვანს (ნაკრები გუნდი) და შუდრას; ორივემ ლამაზი თამაში გვიჩვენა. ტაიმის ბოლომდე „ლოკომოტივმა" გაიტანა ორი ბურთი, ნაკრებმა — ერთი და ეს საინტერესო შეჯიბრება დამთავრდა 4 : 4.

„ლოკომოტივიდან" კარგად თამაშობდნენ ბ. ჩიტაია, ს. სიხარულიძე, ჩერედნიჩენკო; ნაკრებ გუნდში გამოირჩეოდნენ ქ. იმნაძე, ეღიგაროვი, ცენტერაძე.

სუსტად სჯიდა ბ. სკოლზნევი. მის დაუკვირვებლობას და შეცდომებს ზედმეტი ნერვიულობა შეჰქონდა მოთამაშეებში.

ფინეთის უბე გაიყინა

ლენინგრადი (საკ. კორ.). დამთავრდა ლენინგრადის ნავსადგურის სანაოსნო სეზონი. ფინეთის უბე შეიკრა სქელი ყინულით. პირველ ხანებში გემების ყინულებში გაყვანა მძლავრი ყინულისმჭრელების დახმარებით ხდებოდა.

ფინეთის უბის გაყინვას არ შეუძლიან ნაოსნობის შეფერხება. ლონდონიდან, როტერდამიდან და სხვა ქალაქებიდან მომავალმა გემებმა კურსი გაუყინავ ნავსადგურ მურმანსკისაკენ აიღეს.

ლენინგრადის ნავსადგურმა ექსპორტ-იმპორტის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

14 იანვარს

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „მუშათა კლასის დიქტატურა და სოციალიზმის აშენება საბჭოთა კავშირში". კონსულტანტი რუსულ ენაზე — ამხ. კიკნაძე, ქართულ ენაზე — ამხ. ყიფშიძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „იტალია - გერმანიის ფაშისტური ინტერვენცია ესპანეთში". კონსულტანტი რუსულ ენაზე — ამხ. გიორგაძე, ქართულ ენაზე — ამხ. ლარცულიანი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალიზმის გამარჯვება და ხალხთა მეგობრობის აყვავება საბჭოთა კავშირში". კონსულტანტი რუსულ ენაზე ამხ. კვაჭაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

* * *

14 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მორიგი მეცადინეობა. თემა: „კაპიტალისტური მსოფლიო 1938 წლის მიჯნაზე". მცირერიცხოვან ორგანიზაციათა აგიტატორებას დასწრება სავალდებულოა.

* * *

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში სთხოვს სპირიდონ კაციას-ძე ქორჩილავას, შალვა ბესარიონის-ძე კაჭარავას (აბაშა), აპოლონ ლუარსაბას-ძე სვანაძეს (ფოთი), პავლე კიმოთეს-ძე მანჯგალაძეს (სამტრედია) სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის ქ. № 8) ამხ. კვიკვესკირთან (პირველი სართული, ოთახი № 9).

* * *

1938 წლის 15 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ორჯონიკიძის სახ. რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მორიგი პლენუმი.

დღის წესრიგშია:
1) საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის შედეგები;
2) საორგანიზაციო საკითხები.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის
დრ. აღმსრულებელი
ქ. ჩარკვიანი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
14/I მუდმ. ადგ. ტალ. № 75 ერთდრ. ბილეთის სერია № 2 ქეთო და კოტე
15/I მუდმ. ადგ. ტალ. № 76 ერთდრ. ბილ. სერია № 1 ტრუბადური
16/I მუდმ. ადგ. ტალონი № 77 რიგოლეტო
დასაწყისი საღ. 8 საათზე.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი
14/I წარმოდგენა 73 ნაპერწკლიდან
15/I წარმოდგენა 74 ნაპერწკლიდან
16/I წარმოდგენა 75 ალკაზარ
დასაწყისი საღ. 8 საათზე.
10 იანვრიდან დარიგდება მუდმივი ადგილების ბილეთები, ვისაც მე-3-ე გადასახადი არ ექნება გადახდილი, ბილეთები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა სწარმოებს თეატრის ბუხჰალტერიაში დილის 11 საათიდან 4 საათამდე.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
14 იანვარს
ახალი პროგრამა
ლილიპუტების ჯაზის მე-2 ციკლისა, აგრეთვე ცირკის მთელი დასი.
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო ღიაა 12-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან.
18 იანვარს წარმოდგენა დღისით. მონაწილეობს ლილიპუტების ჯაზი მე-2 ციკლის ახალი პროგრამით. დასაწყ. 2 ს.

ესტრადის სახელმწიფო თეატრი
პლეხანოვის პროსპექტი, № 123, ტელეფონი 3-02-29
14, 15 და 16 იანვარს ტალონები 14, 15 და 16.
მოსკოვის ესტრადის
საღამოების გახსნა
გიორგი აფონინი | ნადეჟდა ნურვი
ემილია რიკანდრეს-ასული დეგტიარევსკაია
ანნა მოზგოვაია და ედუარდ ტარახოვსკი
კირილე პლანსონი | 2 ლავრენტიევი
ლიუდმილა ბერკოვიჩი და სერგეი იაგოდინსკი. ზ. გელმანი
კონფერანსიეები: ევსეი დარსკი და ლევ მიროვი.
ბილეთები სალაროში დასაწყ. საღ. 8 ს. 30 წ.
17574

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
14/I წარმ. № 77 ნაპერწკლიდან
15/I წარმ. № 78 ნაპერწკლიდან
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

განსახკომის უმაღლეს სასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები
ხსნის ახალ ჯგუფს.
პირობების გაგება საღ. 6 საათიდან, ორჯონიკიძის ქ. № 49. მე-26 სკოლა, მეორე სართული.
17577

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში
ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23
დიდი ხმოვანი მხატვრული ფილმი ლენინი ოქტომბერში
სცენარი — ა. კაპლერისა, რეჟისორი — მ. რომმი.
I. სეანსის დასაწყისი „კომკავშირელსა" და „სპარტაკში" 6 ს., „ოქტომბერსა" და რ. ლუქსემბურგის სახ. კინოთეატრებში 6 ს. 40 წ.
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125 — ახალი ხმ. ფილმი სამშობლოს ქალიშვილი დასაწყ 6-30
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი — ხმოვანი ფილმი ანნენკოვშჩინა დასაწყ. 6-30
არსენა კომუნალური ქ. № 9 — ხმოვანი ფილმი სამშობლოს ასული დასაწყ. 6-30
ახალი ამბები — ხმ. ფილმი ახალგაზრდობის დღესასწაული დასაწყისი 6-30

თბილისის ქალაქის ლომბარდის დასკვნითი ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ფულადი საშუალებანი	2.741—5
2	ფასეულობანი	140—00
3	გირაოს ქვეშ გაცემული სესხი	976.492—00
4	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	80.768—04
5	ძირითადი საშუალებანი	63.057—70
6	მომავალი დროის ხარჯები	5.550—8
7	ბრუნვის გარეშე საშუალებანი	12.000—00
8	დანაკარგები 1936 წლისა	15.358—12
	ბალანსი	1.156.408—26

პასივი

№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	საწესდებო ფონდი	930.823—17
2	რეზერვები	6.254—75
3	მოკლევადიანი სესხები	200.000—00
4	ანგარიშსწორება	19.330—34
	ბალანსი	1.156.408—26

ბალანს გარეშე:

1.	მიღებული გირ. დაფასებით	1.351.951—00
2.	შესანახ. მიღ. ნივთ. დაფას.	3.650—00
3.	ქონების გაბათილება	29.493—53
	სულ	1.385.094—53

1936 წლის დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	გადახდილი პროცენტები	15.119—99
2.	მიმდინარე ხარჯები	145.881—50
3.	გასული წლის დანაკარგები	91.023—00
4.	საეჭვო ვალების რეზერვ. გადარიცხვა	5.839—25
	ბალანსი	257.863—74

1.	მიღებული პროცენტები	231.520—07
2.	შემოსავალი ვადაგასულ გირაოთა ოპერაციებიდან	7.012—71
3.	სხვა შემოსავალი	3.972—84
4.	ნაშთი დანაკარგებისა	15.358—12
	ბალანსი	257.863—74

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია თბილისის საბჭოს ცენტრალური საბალანსო კომისიის მიერ.

ლომბარდის მმართველი მ. ახალაძე. მთ. ბუღალტერი ზვიადაძე. 1502

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—5761, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—23—24. პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1404